საერთო გაზეთი

№34 (492) • 19 სექტემბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება ქვეყნისთვის კი არა, ნაცმოძრაობისთვის იქნება კატასტროფა...

3=53-ს, ანუ „ტელეკომპანია“ „სააკაშვილ-ოქუაშვილ ფიქჩერსი“ წარმოგიდგენთ!

ვინ იყრის კენჭს საქართველოს პრეზიდენტობაზე - გრიგოლ ვაშაძე თუ ნინო ანანიაშვილი?

გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო კლიპს რომ ნახავ, შეიძლება იფიქრო, რომ საქართველოს პრეზიდენტობაზე კენჭისყრას ბატონი გრიგოლი კი არა, მისი თანამეცხედრე ნინო ანანიაშვილი აპირებს.

კლიპში მთავარი ფიგურა, მთავარი პერსონაჟი, რომელზეც მაყურებლის ყურადღების აქცენტირება ხდება, სწორედ ქალბატონი ნინოა და არა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ვაშაძე.

ამ კლიპის ნახვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ვაშაძე თავისი პირადი დამსახურებების გამო კი არ უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტად, არამედ იმის გამო, რომ ანანიაშვილის ქმარია.

რუსული ბალეტის ვარსკვლავის, დიდი თეატრის პრიმა-ბალერინას ანანიაშვილის ქმრობა, რა თქმა უნდა, კარგია და საამაყო, მაგრამ ეს ყველაფერი რატომ უნდა იყოს პრივილეგია საპრეზიდენტო არჩევნების დროს, აი, ეს არის გაუგებარი.

საპრეზიდენტო არჩევნები კი რა, ცოლების კონკურსი თუ გვაქვს, ვისი ცოლიც კონკურსში გაიმარჯვებს, იმის ქმარი ავირჩიოთ პრეზიდენტად და ამდენ ხარჯს და ნერვების წყვეტასაც გადავრჩებით.

მარტო გრიგოლს ხომ არ ჰყავს კარგი ცოლი, სხვებსაც შესანიშნავი მეუღლეები ჰყავთ, რომლებიც თავიანთ ქმრებს ათი თავით სჯობნიან.

ჰოდა, მივცეთ იმათაც შანსი, თავიანთი წვლილი შეიტანონ ქმრების გაპრეზიდენტებაში.

მამა ბასილი:

საქართველოს ერთი არაფორმალი მმართველი ჰყავს - ჯორჯ სოროსის აგენტი, 8 პატიმრის მკვლელი, მართლმადიდებლობის უბოროტესი მტერი - გიგა ბოკერია

ნიკოლოზ მჟავანაძე:

„ნაციონალები“ 2008 წლის აგვისტოს ომზე, იმ ომზე, რომლის არაოფიციალური „მთავარსარდალი“ გიგი უგულავა იყო, საერთოდ როგორ ბედავენ ხმის ამოღებას?

3=53-ს, ანუ „ტელეკომპანია“ „სააკაშვილ-ოქუაშვილ ფიქჩერსი“ წარმოგიდგენთ!

ძალიან ცუდი ტენდენცია მკვიდრდება საქართველოში — რომელიმე კერძო ტელეკომპანიის მფლობელს ბიზნესი ჩაუვარდება თუ არა, მყისვე საყოველთაო-სახალხო განგაშს ტეხს — ხელისუფლება დემოკრატიას და სიტყვის თავისუფლებას ებრძვის და ჩემს ბიზნესზე ზეწოლას ახდენს, რომ ტელევიზიის დაფინანსება ვერ შევძლო და იძულებული გავხდე, გავაჩეროო.

განსაკუთრებით თამბაქოს ბიზნესში ჩართული ბიზნესმენები აქტიურობენ ამ მიმართულებით.

ჯერ იყო და, TV პირველის მეთამბაქოე მფლობელმა შემოჰკრა ბუკსა და ნაღარას, ახლა იგივეს აკეთებს ტელეკომპანია „იბერიას“ მეთამბაქოე მფლობელიც.

ცოტა არ იყოს, გასაკვირი კი

არის, რატომ მაინცდამაინც თამბაქოს მწარმოებელი კომპანიების მფლობელებს უჩნდებათ მოთხოვნილება, ჩვენი ფილტვების „დაკაპჩონების“ ხარჯზე ნაშოვნი ფულით თავისუფალი მედიის განვითარებას და მედიაპლურალიზმის დამკვიდრებას ემსახურონ, თუმცა ეს მათი ნებაყოფლობითი არჩევანია, რომლის ფინანსურ უზრუნველყოფაზეც თვითონ არიან პასუხისმგებელნი და არა სახელმწიფო, და არა ხელისუფლება და არა ბიუჯეტი, რომელიც, მოგეხსენებათ, მოსახლეობიდან აკრეფილი თანხებით ივსება.

ესენი კი, ეს დალოცვილები, ფინანსური პრობლემა შეექმნებათ თუ არა, იმწამსვე ხელისუფლებას მივარდებიან და ლამის არის თავიანთი ტელეკომპანიების ბიუჯეტიდან დაფინანსება მოსთხოვონ. (ვალების ჩამოწერას რომ ითხოვ, ექსკლუზიურ პირობებს რომ ითხოვ, შეღავათებს რომ ითხოვ, ეს ყველაფერი ხომ ბიუჯეტის, ანუ ხალხის ფულის ხარჯზე უნდა გაკეთდეს?).

კი, მაგრამ, ჩვენ, ხალხმა, როდის განვაცხადეთ თანხმობა, TV პირველი ჩვენ ვარჩინოთ, „იბერია“ ჩვენ ვარჩინოთ, „კავკასიაც“ და სხვა დანარჩენი მედიასაშუალებებიც ჩვენ ვარჩინოთ?

●

ამასწინათ უცნაური აუდიოჩანაწერი გავრცელდა.

უცნაური იმდენად, რამდენადაც შინაარსი ამ აუდიოჩანაწერისა, არავითარ ლოგიკას, არანაირ საღ, პრაგმატულ აზრს არ შეესაბამება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ჩანაწერი თავიდან ბოლომდე ფაბრიკაციაა.

გავიხსენოთ, რაზეა საუბარი ამ ჩანაწერში.

ლევან ყიფიანი ურეკავს ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილს და ეუბნება, რომ თუ ის სამ მილიონს გაიღებს, ყიფიანი მზად არის საქმეში ჩართოს გავლენიანი პირები და ბიზნესმენს მოუხსნას ის ფინანსური დავალიანება, რაც მას სახელმწიფოს წინაშე აქვს.

საუბარია 53 მილიონზე, რომელიც ომეგა-ჯგუფს სახელმწიფოსთვის აქვს გადასახდელი.

ქველმოქმედებისა და სიკეთის ქმნის ხასიათზე დამდგარი ყიფიანი ამ 53 მილიონის ჩამოწერას სულ რაღაც სამ მილიონად ჰპირდება პატივცემულ ბიზნესმენს — ამ სამი მილიონიდან ნახევარ მილიონს ბიუჯეტში შეიტან, დაბნარჩენ 2,5 მილიონს გადავანაწილებთ იმ ადამიანებზე, ვინც ამის გაკეთებაში დაგვეხმარებაო.

ბიზნესმენი, რომელმაც, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ანგარიში ნამდვილად იცის და ისიც იცის, რომ 53 მილიონი თითქმის 18-ჯერ მეტია 3 მილიონზე, გაკვირვებასაც კი არ გამოთქვამს ყიფიანის ამ ჰუმანურ შეთავაზებაზე და არც კი სვამს კითხვას: რაიმეს ხომ არ მატყუებთ თქვენ, ბატონო ლევან, როდის იყო, სამ მილიონად 53 მილიონს „არასხოდებდნენ“. თანაც, ამ სამი მილიონიდან მხოლოდ ნახევარი მილიონი მიდის ბიუჯეტში. დანარჩენ 52,5 მილიონს ნახევარ მილიონად როგორ და რანაირად ჩამოწერენ. ეს ხომ შეუძლებელია? – მსგავსი არაფერი უთქვამს ყიფიანისთვის ოქუაშვილს, ისე მშვიდად და წყნარად მოუსმინა „შუამავალს“, თითქოს, რაც მან ილაპარაკა, იოლად და დაუბრკოლებლად განსახორციელებელი საქმე იყო.

სწორედ ეს გარემოება ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ ეს აუდიოჩანაწერი თავიდან ბოლომდე გაყალბებული და ფალსიფიცირებულია.

თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ აუდიოჩანაწერი როგორც გინდა, ისე შეცვალო — ამოაგდო ან ჩასვა სიტყვები, ჩაამატო ან ამოიღო მთელი წინადადებები, მოახდინო მოსაუბრეთა ხმის ზუსტი კალკირება და მიიღო ის ტექსტი, რომელიც გჭირდება.

მოკლედ რომ ვთქვათ, მთავარია, არსებობდეს მასალა, ანუ ორ პირს შორის საუბრის ჩანაწერი, მერე კი, თუ მოინდომებენ, ამ ჩანაწერს ისე შეუცვლიან ტექსტს, მხოლოდ ძალიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ტექსტი ფაბრიკაციაა, თუმცა ზოგჯერ ამის დადგენაც ვერ ხერხდება, იმდენად დიდი ოსტატობით და იუველური სიზუსტით არის გაყალბებული ჩანაწერი.

როგორც ჩანს, ყიფიანსა და ოქუაშვილს შორის რაღაც ტიპის სატელეფონო საუბარი მართლაც შედგა, რომელიც შემდეგ ახალი შინაარსის ტექსტის დასამონტაჟებლად იქნა გამოყენებული.

რა ამოძრავებდა, რა მიზანი ჰქონდა მას, ვინც ამ აუდიოჩანაწერის გაყალბება შეუკვეთა?

მიზანი პირველი: მედიაზე ზეწოლად გაესაღებინა და ამით დაეშანტაჟებინა მთავრობა, რომელიც მას სრულიად კანონიერად იმ ფინანსური ვალდებულებების შესრულებას სათხოვდა, რომელიც მას ბიუჯეტის წინაშე გააჩნდა.

მიზანი მეორე: ეს ჩვეულებრივი ფინანსური დავა, რომლის მსგავსი სახელმწიფოსა და ნებისმიერ ბიზნესჯგუფს შორის უამრავჯერ წარმოქმნილა, გადაეყვანა პოლიტიკურ ჭრილში, მექრთამეობაში დაედანაშაულებინა ადამიანები ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვიდან, რომ ამით ჩირქი მოეცხო თვით ბიძინა ივანიშვილის სახელისთვისაც.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს მეორე მიზანი იყო ის უმთავრესი და უპირველესი მიზანი, რისთვისაც ეს აუდიოჩანაწერი შეითითხნა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ ჩანაწერის

უკან არა მარტო „ომეგა-ჯგუფი“, არამედ ის პოლიტიკური ძალა დგას, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია და რომლის წისქვილზეც, დიდი ხანია, ასხამს წყალს ტელეკომპანია „იბერია“.

„სააკაშვილ-ოქუაშვილ ფიქჩერსის“ ერთობლივი „ნაწარმოები“ მგონია ეს თეთრი ძაფით ნაკერი აუდიოსიყალბე, ასე რომ

გამოირჩევა მის შემოქმედთა უნიჭობით, პრიმიტიულობით, გონებრივი სიღუხჭირით.

ეს ჩანაწერი ფალსიფიცირებული რომ არის, ამ აზრს კიდევ უფრო მიმტკიცებს ის გარემოება, რომ ჩანაწერში გაჟღერებულია ანზორ ჩუბინიძის გვარი, რომელიც ამ კორუფციული სქემის მთავარ ფიგურანტად არის წარმოდგენილი.

ვინც ანზორ ჩუბინიძეს იცნობს, დაგვერწმუნება, რომ იმვიათზე იმვიათია ისეთი წესიერი, კეთილშობილი და პატიოსანი ადამიანი, როგორიც ბატონი ანზორია.

ანზორ ჩუბინიძისა და უჩა მამაცაშვილის სახელების „ჩაკერება“ ამ ჩანაწერში იმიტომ დასჭირდათ მის ავტორებს, რომ ეჭვის კვალი რაც შეიძლება ახლოს მიიტანონ ბიძინა ივანიშვილის სახელთან.

ჭიტა, სააკაშვილო, გიცანი! შენ ხარ ამ „პროექტის“ ავტორი, ოქუაშვილი, „იბერია“ და „ომეგა-ჯგუფი“ კი ის მასალაა, რომელსაც ამ არჩევნების პერიოდში შენი ინტერესებისთვის გამოიყენებ, მერე კი ნახმარი „პრეზერვატივივით“ მიაგდებ, როგორც ეს გჩვევია და როგორც ეს არაერთხელ გაგიკეთებია.

ერთადერთი, რასაც ამ აუდიოჩანაწერის გასაჯაროებით ოქუაშვილი მიაღწევს, ისაა, რომ მას ახლა ნამდვილად მოუწევს ამ 53 მილიონის ბოლო კაპიკამდე გადახდა...

ვახტანგ ხარჩილავა

მინაწერი: ლევან ყიფიანთან საუბრის ვიდეოჩანაწერის ინტრიგა ჩავარდა, სამაგიეროდ, „რუსთავი-2“-მა „ახალი“ ჩანაწერი გამოჩხრიკა, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ორი წლის წინანდელია და ცხადია, რატომაც გაახსენდა „რუსთავი-2“-ს ეს ორი წლის წინანდელი ჩანაწერი მაინცდამაინც ახლა, არჩევნების წინ?

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რაც ზემოთ ვთქვით: მთელი ამ დემაგოგიური პროვოკაციის ავტორი „ნაცმოძრაობაა“.

სამწუხაროდ, „იბერიას“ და მის მეპატრონეს ძალიან მალე დააავიწყდათ, როგორ გამორეკა ისინი სიტყვის თავისუფლების და მედიის „ქომაგმა“ სააკაშვილმა ავტომატების კონდახებითა და დუბინკებით.

მათ ისიც დაავიწყდათ, ვისი და რისი წყალობით მოახერხეს, უკან დაებრუნებინათ წართმეული „იბერია“, წართმეული ქონება და ბიზნესი.

სხვედან ახლა „რუსთავი-2“-ის სტუდიაში და სააკაშვილს, გვარამიასა და გაბუნიას ეკრიმანჭულებიან.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აბლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული არეკლილი მასალები.

სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება ქვეყნისთვის კი არა, ნაცმოძრაობისთვის იქნება კატასტროფა და მათი პოლიტიკური არსებობის დასასრული

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, 46 კანდიდატი ქვეყნის პირველი პირობისთვის ემზადება. როგორ შეაფასებთ საპრეზიდენტო მარათონს?

— დიდი ჭადრაკის მოლოდინი არ მაქვს, უფრო მარტივი თამაშები იქნება. ამ საპრეზიდენტო არჩევნებზე ბევრს საუბრობენ კანდიდატების მრავალრიცხოვნობასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს გასაკვირი არც არის, რადგან კანდიდატები გარკვეულ თანხას იღებენ. ამ კუთხით, მათი რიცხვი, მე თუ მკითხავთ, ცოტაც კი არის. ჩვენთან არ არსებობს სპეციალობა, რომელიც პრეზიდენტად მოგამზადებს. ნებისმიერს შეუძლია თავის კანდიდატურა წარადგინოს, ამის მაგალითია ტრამპი. მაგალითად, უცხოეთში ასეთი ფილტრის ფუნქციას ქონება ასრულებს. თუ ადამიანს ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს, შესაბამისი სახსრები არ მოიზიდა, არჩევნებში მონაწილეობას ვერც მიიღებს. ერთხელ, როცა ამ საკითხებზე ვმსჯელობდით, ერთ-ერთ უცხოელ ექსპერტს ჰკითხეს: პრეზიდენტის არჩევისას, თქვენთან, სულით ავადმყოფობაზე — ფსიქოს ტიპის შემოწმება თუ ხდებაო. მანქანის მართვისას ამოწმებთ ნორმალურია თუ არა ადამიანი და სახელმწიფოს მართვისას არ უნდა შემოწმდეს? ეს სწორი შეკითხვა იყო. მან გვიპასუხა: არჩევნებში მონაწილეობა მოითხოვს ბიზნესი გქონდეს, ისე ვერ მიიღებ მონაწილეობას ფულია საჭირო, ასევე, საიმისო რიტორიკა რათა ადამიანები მიიზიდო და ა.შ. ამ ჩამონათვალიდან გამომდინარე ფილტრს ვერ გაივლი თუ ჯანსაღი ფსიქიკა არ გექნაო.

— ბატონო რამაზ, „ქართული ოცნება" დამოუკიდებლ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს უჭერს მხარს. მის განცხადებას, 2008 წლის ომთან დაკავშირებით, დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. რას ფიქრობთ რა შანსები აქვს სალომეს?

— ამ საკითხზე, ბევრი მიზეზის გამო, შეიძლება ობიექტური არ ვიყო. ჯერ ერთი, თვითონ სალომე ძალიან მესიმპატიურება — დიდი ხნის ნაცნობობა გვაქვს, მის მეუღლესაც დიდ პატივს ვცემ, ეს ფაქტორები ჩემზე მოქმედებს. ზურაბიშვილი დასაკარგი კანდიდატურა არ არის, ამ შეფასებაში ვერავინ შემედავება. იგი თავისი საქმის პროფესიონალია. შეიძლება მან, ხშირად, არ იცის პიარზე მუშაობა, არ იცის რა არის მისთვის მომგებიანი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მას ნაფიქრი არ აქვს იმაზე, რასაც ლაპარაკობს. მის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები ტენდენციურია. ბოლოს შარი მოსდეს აფხაზეთს მეზობელი უწოდაო. როგორც ირკვევა ასეთი კონტექსტი იყო: ის საუბრობდა სამეგრელოს მეზობელ აფხაზეთზე, ანუ იგი, აფხაზურ-მეგრულ ურთიერთობებზე მსჯელობდა. ეს სხვადასხვა რამ არის. აფხაზეთი სამეგრელოს მეზობლად რომ არის, ამას ნებისმიერ გეოგრაფიის სახელმძღვანელოში ამოიკითხავთ. რატომ უნდათ ზურაბიშვილის გაფუჭება? — იმიტომ, რომ ის რაც სამაჩაბლოს ომის დაწყებაზე თქვა, სინამდვილეში, სხვაგვარად იკითხება. მან, რეალურად, საქართველო კი არა, სააკაშვილი დაადანაშაულა. ეს სააკაშვილის წინააღმდეგ ნათქვამი განცხადებაა. თუ დააკვირდებით ზურაბიშვილი მიუღებელი სწორედ სააკაშვილის მომხრეებისთვისაა. ასე, რომ სალომეს გამარჯვების შემთხვევაში სააკაშვილის მომხრეებმა იციან: მათ პრეზიდენტის სავარძელში შეურიგებელი მეტოქე დახვდებათ. ზურაბიშვილი კოჰაბიტაციისკენ გადახრილი პრეზიდენტი არ იქნება. სწორედ ამაშია ყველაზე უფრო ძაღლის თავი დამარხული — თუ რატომ არის ასეთი შეურიგებლობა, ოპოზიციური პარტიების მხრიდან, სალომე ზურაბიშვილის მიმართ. ამ შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობა" როცა მას უტევს საკუთარ თავს იცავს.

სალომე ზურაბიშვილს სთხოვენ კანდიდატურა მოხსნას ხომ? ვის აწყობს, თუ „ქართული ოცნების" მხარდამჭერებს ასარჩევი კანდიდატი აღარ დარჩებათ? — ისევ და ისევ „ნაციონალურ მოძრაობას" ხომ? მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ზურაბიშვილმა პიარს ცოტა მეტი ყურადღება არ უნდა მიაქციოს. იმ პირდაპირობას, რაც აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენლებს ახასიათებთ. იგი იმას ამბობს, რასაც ფიქრობს, რაც პროფესიონალიზმის დასტურად მიაჩნია. დიახ, ზურაბიშვილი იმას ამბობს, რასაც ფიქრობს, უბრალოდ, იგი, ამჟამად, საჯარო პოლიტიკაში ჩაერთო და დახმარება ესაჭიროება.

— დავუშვათ, ზურაბიშვილი აიძულეს კანდიდატურა მოხსნას. რა გამოდის, არჩევნები ოპოზიციას უნდა შევატოვოთ ხელთ? ასე რა შედეგამდე მივალთ?

— ამ შემთხვევაში, მიღებულ შედეგს დიდი „მარჩიელობა" არ დასჭირდება. შედეგად მივიღებთ იმას, რომ საუკეთესო ვარიანტში შეიქმნება მეორე ტურის პირობები — „ევროპულ საქართველოსა" და „ნაცმოძრაობას" შორის. მათგან ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, გამარჯვებული „ნაცმოძრაობა" იქნება. მერე უკვე აურზაურის ატეხავენ, რაც იმისთვის სჭირდებათ, რასაც ვაშაძე საზოგადოებას დაუფარავად ჰპირდება. იგი ამბობს: ჩვენ თუ მოვალთ ამ ხელისუფლებას შევარყევთ, დაიწყება დემონტაჟიო. ამის სურვილს არც მალავენ. აი, რა სიტუაცია შერჩება მოსახლეობას.

— რუსეთის ძუძუთი გაზრდილი და ახლა, პრო-დასავლელად მოვლენილი ვაშაძე თან გვპირდება, რომ შეიწყალებს სააკაშვილს, მერაბიშვილს, ახალაიას. რა საქართველოში მოგვიწევს ცხოვრება?

— რევანშის პირობებში ყოფნა მოგვიწევს. ერთ-ერთი ვის კისერზეც ეს რევანში ნამდვილად გადატყდება, ეკლესია იქნება. „ნაცმოძრაობა" ისედაც არ გამოირჩეოდა, ეკლესიის მიმართ, დიდი ლოიალობით. ეკლესიის მოწოდება — ზურაბიშვილმა კანდიდატურა მოხსნასო, პირდაპირ „ნაცმოძრაობას" აძლევს ხელს.ე.ი. რა გამოდის?! — ეს მოთხოვნა „ნაცმოძრაობის" მიერაა გაკეთებული. ვინც ეკლესიაში ამას ითხოვს, სავარაუდოა, რომ მას „ნაცმოძრაობის" რევანშის ინტერესი აქვს.

— ბატონო რამაზ, მიუხედავად იმისა რომ 46 კანდიდატია, არჩევანის საშუალება არ არის, პოლიტიკურ მრავალფეროვნებას ვგულისხმობ?

— გეთანხმებით, არ არის. საქართველოში, ზოგადად, მრავალფეროვნების საქმე ძალიან ცუდად გვაქვს. პრინციპში, დღეს, ისევ იგივე ალტერნატივის წინაშე დგას საზოგადოება — „ნაციონალები" სხვადასხვა სახით, ფორმით და მეორე მხრივ, „ქართული ოცნება". კი ბატონო, ეს ისევ და ისევ ჩვენი ხარვეზია, რომ ერთიდაიგივე ვითარებაში ვართ, მაგრამ აქედან ადეკვატური გამოსავალი თუ არ ვიპოვეთ, ჩვენ, ისევ, როგორც 9 წლის წინ, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

— მოდით, კიდევ ერთ უცნაურ კანდიდატს შევეხო თ. ზურაბ ჯაფარიძემ ქართული პოლიტიკა პორნოგრაფიამდე დაიყვანა.

— ნუ, ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკა აღარ არის. ეს სწორედ იმის შედეგია, რომ ყველა ადამიანს ვინც პოლიტიკაში შეაბიჯებს, ჩვენ, პოლიტიკოსს ვეძახით, მაგრამ ასე არ არის. ყველა ადამიანს არ აქვს პოლიტიკის უნარი და ამას ვერც მოთხოვ. ამ ადამიანებმა ნახეს ღია კარები, შანსი რომ შესულიყვნენ და შევიდნენ. ეს უკვე ჩვენი საზოგადოების მოუმწიფებლობის შედეგია. პოსტ.საბჭოთა სივრცეში გვაქვს ასეთი სიტუაცია — იქაც, ვინ აღმოჩნდება პოლიტიკაში კაცმა არ იცის. ამიტომ, შექმნილი მდგომარეობა დიდად გასაკვირი არ არის, მაგრამ ხალხზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. მაგალითად, ამერიკის სინამდვილეში ამბობენ, რომ იქ, სულ ორი პარტიაა, რაც ტყუილია. ორი კი არა, ასზე გაცილებით მეტია, მაგრამ ხალხი ამ ორი პარტიის გარდა, სხვას გასაქანს არ აძლევს. იქ, საზოგადოებამ შეზღუდა პარტიების რიცხვი და პოლიტიკური სიტუაცია უფრო გაამარტივა. ხალხი თავისას შვება, თუმცა, შეცდომას ხელისუფლებაც უშვებს. ჩვენი ხელისუფლება ფულს წაგებულებისთვის რომ არ დებდეს — წაგებული პარტიისთვის, პრეზიდენტობის კანდიდატისთვის — შენ კი წააგე, მაგრამ უკეთესად, ვიდრე სხვამო, მაშინ პოლიტიკური პარტია რომელიც წააგებდა, პოლიტიკიდან წავიდოდა. ახლა, პრაქტიკულად, მარტო იმიტომ რჩებიან პოლიტიკაში, რომ არჩევნებში მონაწილეობის შემდეგ შემოსავალი ჰქონდეთ. ეს შემოსავალი აქვთ კიდეც. სხვა მოტივი არც მათ აქვთ და არც კანონმდებლობამ არ შექმნა იმის პირობა, რომ პოლიტიკოსებში ბუნებრივი შერჩევა მოხდეს. ცნობილი გამონათქვამია: სადაც ბუნებრივი შერჩევა არ ხდება, იქ ევოლუციაც არ არსებობს. ამიტომაც გვყავს ევოლუციის გარეშე განუვითარებელი პოლიტიკური სპექტრი.

— ბატონო რამაზ, რამდენად მომგებიანია მარიხუანას კულტივაციის თემის შემოგდება ახლა, არჩევნების წინ?

— რა გარანტია გვაქვს, რომ საკმაოდ მოკლე დროში მარიხუანას თემა საწინააღმდეგო გავლენას, იმ მუხტს არ მოაგროვებს, რომლის პიკი არჩევნების დღეს იქნება. ეს არის მთავარი — როდის მოდის ამ გავლენის პიკი. რა გარანტია გვაქვს, რომ არჩევნების დღეს „ქართული ოცნების" დამარცხებაში დაინტერესებული ძალები ამ მუხტს კულმინაციამდე არ მიიყვანენ?! ამის გარანტია არ მაქვს. ამიტომ, უფრო ის მაწუხებს რა მოხდება არჩევნებში, ვიდრე ის რა მოყვა მარიხუანას კულტივაციის პროექტს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ნიკოლოზ მჭავანაძე:

„ნაციონალები“ 2008 წლის აგვისტოს ომზე, იმ ომზე, რომლის არაოფიციალური „მთავარსარდალი“ გიგი უგულავა იყო, საერთოდ როგორ ბედავენ ხმის ამოღებას?

● სალომე ზურაბიშვილმა თქვა ის, რაც თქვა მანამდე ჯონ ტეფტმა და რაც ეწერა ტალიავინის დასკვნაში.

● დღეს ბიძინა ივანიშვილი მარტოა!

● გრიგოლ ვაშაძე წმინდა წყლის რუსული პროექტია, მთელი „ნაცმოძრაობა“ და „რუსთავი-2“-იც რუსეთზე მუშაობს.

— ბატონო ნიკოლოზ, პრეზიდენტობის კანდიდატების მხარდამჭერები ერთმანეთს რუსეთის აგენტობაში ადანაშაულებენ. სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციას მიზანში ჰყავს ამოღებული. სიმართლეს ვინც იტყვის, გამოდის, რომ აგენტია?

— სალომე ზურაბიშვილმა თქვა ის, რაც თქვა მანამდე ჯონ ტეფტმა და რაც ეწერა ტალიავინის დასკვნაში. სხვათა შორის, მაკკეინსაც აქვს ნათქვამი, სააკაშვილი პროვოკაციას წამოეგოო.

რუსეთი ჩვენი ქვეყნის მიმართ გარკვეულ დივერსიულ ქმედებებს ახლაც ახორციელებს, გავცეთ პასუხი საარტილერიო ცეცხლით, რატომ ვართ ჩუმად? ჩვენს მოქალაქეებს იტაცებენ საზღვრისპირა რეგიონებში და ათასი უბედურება ხდება – რა ვქნათ, შევუტიოთ რუსებს და საბოლოოდ დავღუპოთ ქვეყანა?

ღამით დაბომბეს ცხინვალი, მაგრამ ვის ბომბავდნენ? ცხინვალიდან ხალხი უკვე გაყვანილი იყო და ქალაქის დაბომბვა რისთვის იყო საჭირო, იმისთვის ხომ არა, რომ რუსეთის ჯარი შემოსულიყო? ჯარს ხელმძღვანელობდა გიგი უგულავა. გიგი უგულავას მოგებული ომი როგორი იქნებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ?

ახლახან ვლადივოსტოკში კონფერენცია ჩატარდა, სადაც აზიის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად იაპონიის პრემიერი სინძო აბე იყო ჩასული. იაპონიის პრემიერმა კონფერენციაზე მემორანდუმის ტიპის ხელშეკრულებაზე ისაუბრა კურილიის კუნძულებთან დაკავშირებით. საუბარი იყო იაპონური კომპანიების დაფუძნებაზე კურილიის ტერიტორიაზე. რუსეთის ხელისუფლება დასთანხმდა ამ წინადადებას. დაწესდა კუნძულების ერთობლივი მართვა, რაც ნიშნავს იმას, რომ იაპონია ნელ-ნელა, საშვიდობო მოლაპარაკებებით აღწევს იმას, რომ კავშირები შეინარჩუნოს ამ კუნძულებთან, ანუ ყველაფერი იწყება კომუნიკაციით.

ბევრს გაუკვირდება, რასაც ვიტყვი, მაგრამ შევარდნაძის დროს ქვეყანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ მიდიოდა — ერგნეთის ბაზრობა არსებობდა, ცხინვალში ჩახვიდოდი თავისუფლად, არძინბა შევარდნაძესთან ჩვეულებრივ კომუნიკაციაში იყო და მეტიც, ითხოვდა, საქართველოს ქართულ-აფხაზური სახელმწიფო დარქმეოდა. შევარდნაძემ მაშინ სასტიკი უარი სტკიცა. მაგრამ რა მოხდებოდა, ყოფილიყო ქართულ-აფხაზური სახელმწიფო, დავით აღმაშენებელი ქართველთა. აფხაზთა, კახთა, რანთა და სხვათა მეფე რომ იყო, ამით რამე დააკლდა ან საქართველოს ან აღმაშენებლის მეფობას?

იაპონიაზე ვსაუბრობდი და რაღა შორს მივდივარ, ამას წინათ ალიევსა და პუტინს შორის შეხვედრა შედგა. ალიევმაც და ყველამ შესანიშნავად იცის, რუსეთი ეხმარება სომხეთს ყარაბაღის საკითხში. ამ ვითარებაში 5 მლრდ დოლარის შეიარაღება გადასცა აზერბაიჯანმა რუსეთს, რუსეთი უამრავ ინვესტიციას დებს აზერბაიჯანში. ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა მას შემდეგ, რაც პაშინიანმა სააკაშვილის თამაშის გამეორება, ანუ ევროინტეგრაციისკენ სწრაფვა და მისთანები დაიწყო.

აზერბაიჯანი, რომელმაც ყარაბაღი დაკარგა რუსეთის გამო, არასდროს წასულა რუსეთის წინააღმდეგ, რადგან ელოდება მოლაპარაკებების შანსს, მათ მშვენივრად იციან, რომ რუსეთის გარეშე ყარაბაღის პრობლემის მოგვარება შეუძლებელია.

შარშან ისე დაიძაბა სიტუაცია, რომ აზერბაიჯანმა ლამის აიღო ყარაბაღი. პუტინმა უბრძანა, გაჩერებულიყვნენ და ომი შეწყდა. იგივე ხდება დნესტრისპირეთში.

იაპონია, უზარმაზარი ქვეყანა, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ნახევარი მსოფლიო მოლაპარაკებებით ცდილობენ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას, ჩვენ გინებით ვაპირებთ პრობლემის მოგვარებას.

თუ ამ საპრეზიდენტო არჩევნებზე მოხდა ისეთი რამ, რომ, თქვათ, საუბედურად, გაიმარჯვა ნაცების რომელიმე კანდიდატმა, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ 20% ოკუპირებულ ტერიტორიებს დაემატება კიდევ 80%.

მოდით, ღიად ვილაპარაკოთ: დღეს საქართველოში მიმდინარეობს ორი ძალის ბრძოლა — თურქული და რუსული ძალების. ის, ვინც ამბობს, რომ რუსეთს არ დაველაპარაკოთო, არის პროთურქული ძალა, ან არ გამოვრიცხავ, იყოს აზერბაიჯანული, ან სომხური ძალა. აქედან არც ერთს არ აწყობს, საქართველომ სიტუაცია დაალაგოს რუსეთთან. ადრე ქართველებს ეჭირათ სადავეები რუსეთში, ახლა სომხები არიან გაბატონებული. სომეხია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და სომხებიც რაღაცას ცდილობენ სათავისოდ.

უკვე მიმდინარეობს საუბრები იმაზე, რომ ლავროვი უნდა გადადგეს და მის ნაცვლად მარია ზახაროვა დაინიშნება საგარეო საქმეთა მინისტრად, რადგან ბოლო პერიოდში, პაშინიანის გამო, ლავროვსაც მიაწერენ სომხეთში განვითარებულ მოვლენებს.

მოკლედ, რაც უნდა იყოს, ჩვენი ხსნა არის რუსეთთან ურთიერთობების დალაგება. ეს ამ ხელისუფლებასაც უნდა, მგონი, რომ თქვას, მაგრამ ვერ ბედავს რატომღაც.

— როგორ გაბედავს, როცა „ნაცმოძრაობა“, ანუ მთავარი ოპოზიციური ძალა თითქმის საფლავში ჩაჰყვა მაკკეინს. ასეთ დროს რუსეთზე ხმის ამოღებას მართლაც დიდი ვაჟკაცობა უნდა.

— მაკკეინი და აშშ-ის დღევანდელი პრეზიდენტი მამასისხლად იყვნენ გადაკიდებული. გურიაში თუ ვინმეს ძალიან გაუნაწყენდებოდნენ იცოდნენ თქმა:: ჩემს კუბოსთან არ დავინახოო. იმდენად ბოღმით სავსე იყო მაკკეინი, სიკვდილის წინ დაუბარებია: ჩემს კუბოსთან არ მოუშვათ დონალდ ტრამპიო. მომაკვდავი უნდა ცდილობდეს, ყველას შეუნდოს. მაკკეინი კი ისეთი ღვარძლიანი იყო, სიკვდილის წინაც ვერ დაივიწყა ტრამპის სიძულვილი. ტრამპიც მისი დაკრძალვის დღეს გოლფის სათამაშოდ გაეშურა. ფეხებზე დაიკიდა მაკკეინი, ჩვენ კი საფლავში მივყვებით. პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე აპირებდნენ დაკრძალვაზე წასვლას, მერე მიხვდნენ, ეტყობა, ტრამპი არ მიდის და ჩვენ სად მივეხეტებითო.

ტრამპის დაცვას კი არა, პარლამენტის „ოცნების“ დეპუტატები და თვით პრემიერ-მინისტრიც კი პარტიის თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის ღია მხარდაჭერას ვერ ბედავს. ბიძინა ივანიშვილს, ფაქტობრივად, გუნდი არ ჰყავს.

— ბატონო ბიძინა, ვინც გიცავთ და თქვენი ერთგულია, მას გვერდით არ იკარებთ, ვინც გლანძღავთ და თქვენი და ამ ქვეყნის მტერია – მმართველ პოზიციებზე არიან წამოსკუპებული. ეს რა სამართალია?!

— რამდენი ხანია, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან თუ სხვა საშუალებებიდან, საიდანაც ხმა მიგვიწვდება, ვლაპარაკობთ: ხალხი, რომლებიც თქვენ გარს გახვევიან, თქვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, მაგრამ რად გინდა, როგორც ჩანს, ივანიშვილამდე ჩვენი ხმა არ მიდის.

ამ არჩევნების წინ მარიხუანაზე რა ამბებიც ტრიალებს, ან ტელევიზიის დაბლოკვაზე რომ ყრანტალებს ზოგიერთი, არაა ეს მტრის გაკეთებული საქმე?

ასეთი მრჩევლები რომ ჰყავს ბატონ ბიძინას გვერდით, ხალხი, რომლებმაც არაერთხელ მისცეს უსარგებლო რჩევები, ყველა იდეა ჩააფლავეს, ასეთ ადამიანებს რატომ უჯერებს, ვერ გამიგია.

კიდევ ვიმეორებ, იგივე მოუვიდა გამსახურდიას, შევარდნაძეს და სააკაშვილსაც, გარემოცვამ უღალატა და გარემოცვამ დაღუპა. დასკვნები ხომ უნდა გამოვიტანოთ!

— ახლა მომაგონდა: გამსახურდია თავის გარშემო კგბ-ს აგენტებს რომ პოულობდა. ლუსტრაციის კანონზე იყო ერთ ხანს საუბრები, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს აუცილებელია?

— „ნაცმოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე რუსეთში ბირთვული კვლევების ცენტრის კურატორი გახლდათ კგბ-ს ხაზით. ცნობილი ამბავია ეს. ვაშაძე რუსი პოლიტიკოსია, მთელი ცხოვრება ემსახურებოდა რუსეთს. სააკაშვილის ბიძა არ არის კგბ-ს გენერალი? სააკაშვილი და სააკაშვილისტები არ უჭერენ მხარს ვაშაძეს? წმინდა წყლის რუსული პროექტია ვაშაძე და სხვისკენ იშვერენ ხელს.

იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები, თვით „რუსთავი-2“-ც რუსეთზე მუშაობს. აზიზღებს მოსახლეობას ყოველივე დასავლურს, არადა, დასავლეთში დიდ პატივს სცემენ ტრადიციებს და წესიერ ცხოვრებას, ამერიკაშიც რომ სიმპათიით სარგებლობს ტრადიციული ღირებულებები, დაამტკიცეს კიდევაც ტრამპის არჩევით და უარი უთხრეს ლესბოსელ ჰილარი კლინტონს.

ახლახან პოლონეთში ლუსტრაციის კანონი მიიღეს და ვინც საბჭოთა კგბ-ს თანამშრომელი იყო წარსულში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვერ დაინიშნებიან. ჩვენთან თანამდებობაზე კი არა, პრეიდენტობაზე იყრის კენჭს კგბ-ს თანამშრომელი და საარჩევნო კლიპებს იღებს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გრიგოლ ვაშაძის „პრავდაში“ გახვეული ღიმილი

ბეთჰოვენა

თქვენი არ ვიცი და... მე ამხანაგი გრიგოლ ვაშაძე თავისი ჰაბიტუსით ფილმ „ღიმილის ბიჭების“ ერთ-ერთ პერსონაჟს — ბეთჰოვენას მაგონებს. ერთი ეგაა, ბეთჰოვენა, რომელიც ვიოლინოს თანხლებით დადიოდა და სულ ცაში იყურებოდა, უფრო კეთილშობილი გახლდათ. მას მეორე მსოფლიო ომმა მოუსწრო, ვიოლინო გადადო და ფრონტის ხაზზე წავიდა. პრინციპში, ვაშაძეც ჩამოვიდა ფრონტის ხაზზე რუსეთიდან, როცა სამშობლოს დასჭირდა, მაგრამ ეს საქმე ცოტა ვირეშმაკულად გამოუვიდა — თან პატრიოტულს მიაწვა, თან რუსული პასპორტი ვერ დათმო, თან პროდასავლური კურსი აიღოსავით. ერთი სიტყვით, რამდენიმე ცხენზე ერთდროულად ჯდომა მოინდომა და აერია რამსები — თან რუსებს ლანძღავდა 2008-ში, ეს რა გვიქენით, თქვე ბოზებოო, თან კიდევ წერილი გააგზავნა რუსეთის კულტურის სამინისტროში — არიქა, ჩვენი ერები კულტურულად უნდა დავააახლოვოთ, ერთობლივი კონცერტები გავმართოთოო... უი, არა, არა, თქვენ ნუ შეწუხდებით, მომღერლებსა და მოცეკვავეებს ჩვენ გამოვაგზავნით, თქვენ მხოლოდ ტაში დაუკარით, რომ ძმობას, ერთობას და სოლიდარობას უფრო ღრმა საფუძველი ჩაეყაროსო. დიახ, ეს წერილი იწერებოდა მაშინ, როცა გორი, ახალგორი და მიმდებარე სოფლები ჯერ კიდევ ცეცხლის ალში იყო გახვეული.

დღეს ამხანაგ გრიგოლს თავის ბიოგრაფიასაც უხსენებენ — შენა, კაცო, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი დაამთავრე 1981-ში... 1990 წლამდე, როცა საქართველო საბჭოთა იმპერიას ებრძოდა და ჩვენი ახალგაზრდობა ტანკებით გადათელეს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში კოსმოსის და ბირთვული შეიარაღების განყოფილებაში იყავი მოკალათებული, ახლა იმ ნიგერიელისა არ იყოს, ტელევიზორში აქეთ რომ დაგვამუნათა, რა „ფრითენზიები“ გაქვსო? აბა, რა გითხრათ... შენიშვნა სამართლიანია, ამხანაგი გრიგოლი ვერც 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებმა მოიყვანა აზრზე და ისე იყო წამოპლაკული საბჭოთა იმპერიის დედაქალაქში, ისე გახდა დიპლომატიური აკადემიის ასპირანტი, ისე ჩააგრიალა ცხოვრება 2008 წლამდე, გეგონება არც არაფერი მომხდარა. ჰო, კიდევ იმას საყვედურობენ, იმ ბირთვულ რაღაცაში რომ მუშაობდი, მანდ კაგებეს გარეშე არ მიგიღებდნენ, ვის ატყუებ, რომ ვითომ პროდასავლელი ხარო? ვერაფერს იტყვი, ესეც სამართლიანი შენიშვნაა, მაგრამ ამხანაგი გრიგოლი მაინც იძახის, ჩემი წილი რუსეთი ჩემია, ჩემშია, ვერავინ წამართმევსო. რასაკვირველია, მისი წილი რუსეთი მასშია, მისია და ვერც ვერავინ წაართმევს. ან კი რატომ უნდა წაართვას?!

შემდეგ, როცა ამხანაგი გრიგოლი უმუშევარი დარჩა, რაღაც ბიზნესი წამოიწყო. ბიზნესი კი არა, სინამდვილეში ეს იყო საკუთარი მეუღლის პიარ-მენეჯერობა, სხვადასხვა ქალაქებში კონცერტებს უგეგმავდა. მამუკა გამყრელიძემ, მიშას დროს ჩინეთში ელჩად რომ იყო გამწესებული, „კავკასიის“ ეთერში თქვა: გრიგოლ ვაშაძემ ყველაზე დიდი გამოცდილება ცოლის სამსახურში მიიღოო. ჰა, ჰა, ჰა... გაიგონეთ? ცოლის სამსახურში მიიღო დიდი გამოცდილებაო. დიახ, სწორედ ამაზე ამბობს ზაალ უდუმაშვილი, ამხანაგ გრიგოლს რომ ვუყურებ, კლასი, გამოცდილება და ცოდნა ზედ აწერიაო. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, მიხა სააკაშვილს მისივე ნათელ-მირონმა ნინო ანანიაშვილმა სთხოვა, ჩემი პიარ-მენეჯერობით ბევრი არაფერი გამოდის, ქმარი უნდა დამისაქმოო. იმან უთხრა, არ არი პრობლემაო და 2008 წელს ეგრევე მოსვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ, შემდეგ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრად, ბოლოს კი საგარეო საქმეთა მინისტრად. აი, კლასი... აი, გამოცდილება... აი, ცოდნა-განათლება!

თუმცალაააა... ამხანაგი გრიგოლი მაინც არაადექვატურია, ხშირად ისეთ სისულელეებს ლაპარაკობს, კაცს რუსი ვანია გეგონება. თუნდაც ის ვთქვათ, ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში ჟურნალისტებს რომ წამოუწვინა: უკვე **ЗАЕБАЛИ**, ანუ უკვე ტვინი მოტ...ანითო!

ართვა (ეს „ნაციონალების“ საფირმო ნიშანია) და უცებ დააბრეხვა:

„საჩხერე, ივანიშვილის მშობლიური მხარე, სხვა რეგიონების მსგავსად, უყურადღებოდ არის მიტოვებული. ადგილობრივებმა ყველაზე უკეთ იციან ოლიგარქის ტყუილის მაღალი ფასი. მოსახლეობა თანადგომას ითხოვს და ჩვენი ეიმედება. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ გაზრდის პენსიას 400 ლარამდე, მასწავლებლის ხელფასს — 1000 ლარამდე, პოლიციელის ხელფასს — 2000 ლარამდე. ჩვენ გამოვაცხადებთ ორ წლიან მორატორიუმს უსამართლო საბანკო თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრედიტების გადახდაზე და ყველა ვალი დაანგარიშდება 2012 წელს არსებული ლარის კურსით“.

აი, ამ რამდენიმე წინადადებაში უამრავი ტყუილია — ჯერ ერთი, ბიძინა ივანიშვილისგან საჩხერე ნამდვილად არ არის მიტოვებული, ჯერ კიდევ 2012 წლამდე იქ ყველაფერი იყო მოწესრიგებული — გზები, გაზი, წყალი... რომელი ერთი ჩამოვთვალო? მშობიარობა უფასო, გაზი — უფასო, დიდი სპეციალური დარბაზი, სადაც ჭირია თუ ლხინი — უფასო, ყოველ დაქორწინებულზე — ხარჯები უფასო, პლიუს 5 ათასი ლარი საჩუქრად. ჰო, კიდევ ისა... თავის დროზე ყველა ოჯახს რომ თეთრი ნივა აჩუქა ივანიშვილმა, მაგაზე არავინ ლაპარაკობს. აი, ახლა ჩავიდა საჩხერეში ამხანაგი გრიგოლი გაზეთ „პრავდაში“ გახვეული ღიმილით და იძახის,

მას შემდეგ, რაც გრიგოლმა საპრეზიდენტო ხეტიალი დაიწყო, ბევრი მიჰქარა, ანუ ბევრი თავხედობა ჩაიდინა. მაგალითად, ჩავიდა კახეთში და რამდენიმე დედაკაცს ეუბნება, ყველა ყურით მოათრიეთ საარჩევნო უბნებშიო. ჰმ... სადაა, ბიჭო, ყურით მოსათრევი ხალხი კახეთში? ან სამიოდე გამოშტერებულმა ქალმა როგორ უნდა მოგითრიოს ყურით ზაქებივით ბიჭები?!

კიდევ ერთი დიდი სისულელე: ამ დღეებში საჩხერეში ჩავიდა, ერთ მუჭა ხალხს შეხვდა, როგორც იცის ხოლმე, ყველა გადაკოცნა, ყველას ხელი ჩამოაქაურებს ჩვენი იმედი აქვთო. ვისაც მაჭუტაძე-ვაშაძე-დავითაიაქარდავას იმედი აქვს, ის აზრზე არ არის, რომ მომავალ პრეზიდენტს არც პენსიების გაზრდა შეუძლია, არც ხელფასებისა და მით უმეტეს, ვერც ბანკების საკითხს მოაგვარებს. ტყუის ამხანაგი გრიგოლი, ტყუის და ვირეშმაკობს!

მისტერ ბეთჰოვენს მარიხუანასთან დაკავშირებითაც აქვს თავისებური ხედვა, ამ შემთხვევაში ტრადიციულ გაგებას აწვება და სინამდვილეში აბრაკადაბრა კი გამოსდის:

„არავითარი ექსპორტისთვის ეს ნარკოტიკები გათვალისწინებული არ არის. ეს არის შიდა მოხმარებისთვის გათვალისწინებული. თავიდანვე გასაგები იყო, ეს ისტორია საით მიდიოდა, როდესაც ჯერ სიმღერები შემოგვაპარეს, შემდეგ კონსტიტუციურმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თურმე ადამიანს უფლება აქვს, ისე დაისვენოს, როგორც უნდა და შეკითხვა მაქვს კონტიტუციურ სასამართლოსთან: პედოფილსაც აქვს უფლება, ისე დაისვენოს როგორც უნდა?! ამ პლანტაციებს რომ გვიშენებენ, ხომ გასაგებია, ვის ჯიბეში წავა აქედან აღებული მილიონები“.

ან სიმღერები, ან პედოფილია რა შუაშია მარიხუანასთან? რა სიმღერები შემოგვაპარეს და ვინ ამბობს, რომ პედოფილია თავისუფალი „პროფესიააა“? არა, ამას არ აინტერესებს სინამდვილე, ამას მხოლოდ სიტუაციის დაძაბვა სწყურია და ამ დროს რომ კაი გვარიანად უქიქინებს, ვერ გრძნობს. წააგებს ამხანაგი გრიგოლი, უთუოდ წააგებს და მერე დაიწყებს, გამიყალბესო!

პრინციპში, უკვე წაგებულია, რაღა გაყალბება უნდა?!

გელა ზედელაშვილი

გელა ზედელაშვილი

ღალატის ანატომია

ვინ, როგორ და რატომ უღალატა ბიძინა ივანიშვილს?!

შალვა ნათელაშვილის მარცხი

(გაგრძელება. დასაწყისი „ს.გ“ N28-32)

ამჯერადაც ბიძინა ივანიშვილის პირველი წერილიდან მცირე ამონარიდით დავიწყებ – ვისთან ვერ ვითანამშრომლებ? წერს ბატონი ბიძინა 2011 წლის მიწურულს და იქვე აკონკრეტებს:

„ვერ ვითანამშრომლებ ფსევდოოპოზიციურ პარტიებთან, რომლებიც ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებასა და კავშირში არიან და მისი ინსტრუქციებით და მითითებებით მოქმედებენ“.

ივანიშვილმა სააკაშვილის რეჟიმთან გარიგებულთა ვინაობა ღიად დაასახელა, პირადად ჩემთვის ჩამონათვალი მოულოდნელი არ ყოფილა – მაგალითად, „ახალ მემარჯვენეებზე“, გიორგი თარგამაძეზე, ბაჩუკი ქარდავაზე, გია თორთლაძეზე, პაატა დავითაიასა და სხვებზე საზოგადოებაში მანამდეც არსებობდა ეჭვები, მოულოდნელი იყო „ლეიბორისტებისა“ და შალვა ნათელაშვილის ხსენება მათ გვერდით. ბიძინა ივანიშვილის წერილის ეს თავი ასე მთავრდება:

„დიახ, მე ვერ ვითანამშრომლებ ამ ადამიანებთან, თუმცა არ გამორეცხავ, რომ ამ ფსევდოოპოზიციური პარტიების ზოგიერთ წევრთან ურთიერთობაზე დავთანხმდე, თუ ისინი საკუთარი პოლიტიკური წარსულის რევიზიას შეძლებენ“.

ივანიშვილმა დასაწყისიდანვე უარი თქვა ნათელაშვილთან თანამშრომლობაზე და როგორც დრომ გვიჩვენა, არც რაიმე სახის რევიზიას ჰქონია ადგილი. ქარდავები, დავითაიები, თორთლაძეები და სხვები რომ ყოველთვის სააკაშვილის „პადელნიკები“ იყვნენ და დღესაც არიან, ეს ვიცოდით და ვიცით, მაგრამ შალვა ნათელაშვილი, კაცო, შალვა, რომელიც 2007-ში (როცა მიშა დასაჭერად დასდევდა) სიღნაღის რაიონის ერთ-ერთ სოფელში იმალებოდა, რომელიც რუსეთის აგენტად იყო შერაცხული?! არა, კი დადიოდა რაღაც ჭორები, მიშას საკრებულოს თავმჯდომარეობა მიჰყიდაო, კაი „მაყუთი“ აიღოო, მაგრამ ჩემთვის ამის დაჯერება მაინც წარმოუდგენელი იყო და ამის თაობაზე ბატონ ბიძინას ვკითხე კიდეც. პასუხი ასეთი გახლდათ:

- ვინ უნდა დავიყენო გვერდით, გაყიდული შალვა ნათელაშვილი, 2007-ში ფორმალურად რომ დარბოდა და იმალებოდა?!

- აი, შალვაზე ვერ წარმომიდგენია, რომ გაყიდული იყოს, სააკაშვილს ებრძვის გააფთრებული.

- მე წარმომიდგენია და ვიცი!

„ლეიბორისტების“ ოფისი. შალვა ნათელაშვილის კაბინეტი. მე ვცდილობ, დავამშვიდო აღელვებული შალვა, მაგრამ არ გამომდის:

- ბიძინა ივანიშვილმა მერაბიშვილსა და სააკაშვილს დაუკვეთა ჩემი მკვლელობა!!!

– შალვა, მე მგონი, აჭარბებ, ეს ძალიან სერიოზული ბრალდებაა შენი მხრიდან.

- ნახე, რას აჩვენებს ცნობილი საიტი „ვიკილიქსი“, ეს არის ამერიკელი დიპლომატის წერილი გაგზავნილი სახელმწიფო დეპარტამენტში: „საქართველოში ამერიკის ელჩმა, ჯონ ტეფტმა მიხეილ სააკაშვილს ტელეფონით დაურეკა. ტეფტმა და საქართველოს პრეზიდენტმა ოპოზიციის შესახებაც ისაუბრეს. სააკაშვილმა უთხრა ელჩს, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს შალვა ნათელაშვილი თავის ოჯახთან ერთად ცხინვალის გავლით რუსეთში გაემგზავრა. საქართველოს მთავრობას სჯერა, რომ ნათელაშვილი კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად რუსულ ფულს იღებდა იმისთვის, რომ 2 ნოემბრიდან დაწყებული საპროტესტო აქციები ხელისუფლების დასამხობად გამოეყენებინა“. ნახე, როგორი გეგმა იყო, მე უნდა გავქცეულიყავი ცხინვალის გავლით, რუსეთის მიმართულებით და ჩამცხრილავდნენ საზღვარზე. ამ ყველაფერში ჩართული იყო ბიძინა ივანიშვილი, ის არის მკვლელი, ქილერი, მას ბევრი ჰყავს გასტუმრებული ამ ქვეყნიდან. მე ხომ არაფერს ვიგონებ?!

- აქ ივანიშვილი რა შუაშია? როგორც ვხედავ, ტეფტი მას საერთოდ არ ახსენებს.

- სააკაშვილი ელაპარაკება ტეფტს და ისიც აგზავნის სახელმწიფო დეპარტამენტში ამ წერილს. აი, რა დონის გულუბრყვილო ვარ, კაცს ჩემი მოკვლა აქვს შეკვეთილი და მე პრემიერ-მინისტრად ვასახელებ. პრემიერ-მინისტრად დავასახელე კაცი, ამხელა პიარი გავუკეთე მთელ მსოფლიოში და მადლობის სანაცვლოდ აგერ, ტყვიას მესროდა თურმე!

- საინტერესოა, რატომ დაასახელე პრემიერობის კანდიდატად, რა აზრი გქონდა ამაში ჩადებული?

- ნესტან კირთაძემ მირჩია.

●

ალბათ, დამეთანხმებით, ეს უკვე შეურიგებელი მტრობაა. შალვა ნათელაშვილი განიცდის, ნერვიულობს, ივანიშვილს აკრიტიკებს, ლანძღავს, ყველგან უჩივის, ამერიკაშიც, ევროპაშიც, კერძოდ – ჰააგაშიც, მაგრამ ჩემი აზრით, ჯერ ვერაფერი დააკლო. თუ ნინო ბურჯანაძე უფრო დელიკატურია და დიპლომატიის რაღაც დონეს მაინც ინარჩუნებს მილიარდერის მიმართ, ნათელაშვილი ყველაფერზე მიდის. თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილი არ უშვებს მომენტს, სატელევიზიო გამოსვლების დროს არ გაკენწლოს ნათელაშვილი. აშკარაა, ამ ჭიდილში ივანიშვილი იგებს, მისი პირველივე წერილის შემდეგ „ლეიბორისტებში“ იწყება რყევები, პარტიიდან მიდიან მნიშვნელოვანი ფიგურები – კახა ძაგანია, პაატა ჯიბლაძე და სოსო შატბერაშვილი. ისინი თავიანთ ყოფილ ლიდერს ადანაშაულებენ ფულის აღებასა და ათასგვარ მაქინაციებში. რასაკვირველია, არ არის ლამაზი, როცა თანამებრძოლები ასე შორდებიან ერთმანეთს, მაგრამ ეს გახლავთ ჩვენი სამწუხარო რეალობა. რამდენიც არ უნდა ამტკიცოს შალვა ნათელაშვილმა, ჩემი პარტია ამ ადამიანების წასვლით არ დაზარალდაო, ივანიშვილმა ვერაფერი დამაკლო, ვერ ჩამძირაო, ეს იქნება მტკნარი სიცრუე. „ლეიბორისტების“ ლიდერი იმაზე მეტად ფიცხია, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწე უნდა იყოს, ის ხშირად გადადის გაუწონასწორებელ მდგომარეობაში და უშვებს უამრავ შეცდომას.

მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად ბიძინა ივანიშვილის ურყევი დამოკიდებულებისა, შალვა ნათელაშვილს ჰქონდა შანსი, შეენარჩუნებინა სოლიდურობა, აეღო კურსი სიდინჯისკენ, რათა თავადვე არ გაენადგურებინა ჯიბეში ჩადებული გარკვეული რეიტინგი, რაც სრულიად საკმარისი იყო ხოლმე პარლამენტში მოსახვედრად. არა, მან ეს ვერ და არ გააკეთა, სრულად ავარდა „ფინთი გოიმივით“ და 2012 წლის შემდეგ თავისი ნაბიჯებით დაამტკიცა, რომ ივანიშვილი არ ტყუოდა, უნებლიედ თავადვე „გააპრავა“. სულაც რომ მართალი ყოფილიყო არა მხოლოდ ივანიშვილთან, არამედ უფალთან და ერთან, წუპაკი „ნაციონალების“ გვერდით მაინც არ უნდა დამდგარიყო. ბოლოს და ბოლოს, ქარდავებთან, დავითაიებთან, მაჭუტაძეებთან, ვაშაძეებთან, გვარამიებთან და ათასი ჯურის უნიჭო ავანტიურისტებთან რომ დადგები, სააკაშვილთან ხარ გარიგებული, აბა, რა ხარ?!

წინა საპარლამენტო არჩევნების დროს დავწერე, „ლეიბორისტული პარტია“ ვერ გავა, დაახლოებით 5 პროცენტს აიღებს-მეთქი. მაშინ შალვამ დამირეკა და „შემაჩვენა“ – მეგონა, თუ არ გიყვარდი, პატივს მაინც მცემდიო. შალვა, მიყვარხარ და პატივსაც გცემ, მაგრამ რეალობა ასეთია, მე არაფერ შუაში ვარ-მეთქი. ჩემი პროგნოზი გამართლდა. შალვა ისე იყო გაღიზიანებული, ყვიროდა, ივანიშვილს ცულით მივუვარდები თავის შუშის სასახლეში და თავს მოვაჭრიო. გრაფიკიდან ამოვარდნილმა ნათელაშვილმა ივანიშვილს ვერა, მაგრამ თავად კი მოიჭრა უამრავჯერ თავი – ჭორების გავრცელება იქცა მის მთავარ ხელობად, სადაც კი რამე საეჭვო თემა წამოიჭრება (მაგალითად ნარკოტიკები), ეგრევე ბერა ივანიშვილს მიაწერს, არიქა, ეგ „კრიშავსო“. შემდეგ კი რამდენიმე საათში ირკვევა, რომ ბერას არანაირი კავშირი არ აქვს იმ საქმესთან. რომ გითხრათ, შალვას ნათქვამ სიტყვას შედეგი არ აქვს-მეთქი, მოგატყუებთ, აქვს სადღაც 3–5 პროცენტის ფარგლებში, რაც ნამდვილად აღარ არის საკმარისი, რათა პოლიტიკაში „იბაირამო“. ბოლოს კიდევ ერთხელ გამოვთქვამ წუხილს, რომ შალვა ნათელაშვილი, რომელსაც თავის დროზე ჰქონდა მშვენიერი რეიტინგი, ვიღაც მაჭუტაძის დონეზე დაეშვა და იმ პოზიციებიდან გამოუცხადა ომი ბიძინა ივანიშვილს. ამით მან გაუშვა ხელიდან დიდი შანსი, რომ ქართულ პოლიტიკაში დარჩენილიყო სოლიდურ პიროვნებად და ივანიშვილთან ელაპარაკა ცოტა სხვა სიმაღლეებიდან. შალვა, ჩემო მეგობარო, შენ შეგეშალა, ბიძინამ გაგიგო, გაგთქვა და ამიტომაც შეიძულე სამარადჟამოდ. თუმცა მანამდე სცადე, „პლასტინკა“ შენებურად დაგედო, გამოხვედი და პრემიერ-მინისტრობა შესთავაზე. არ დატრიალდა „პლასტინკა“ შენებურად, ბიძინამ სულ სხვა სიმღერა დაუკვეთა და მოდი, ვთქვათ სიმართლე, კაი გვარიანადაც მიგაფარჩაკა. მაპატიე, არ მინდოდა ამის თქმა, უბრალოდ შენმა გამოხტომებმა მაიძულა... აი, ამას წინებზე რაღაც ვიდეო ვნახე რომელიღაც სატელევიზიო გადაცემიდან ამოჭრილი, სადაც ივანიშვილს მახინჯს უწოდებ – ტიპი ისეთი მახინჯია, დაკომპლექსებული იყო და საზოგადოებაში თავს ვერ ყოფდა, გარეთ ვერ გამოდიოდაო. ჯერ ერთი, ივანიშვილი სულაც არ არის საფრთხობელა და მეორეც – ასეთი ლაპარაკი რა კაცის საქმეა, ამით რას მიაღწევ? ვერაფერს, რაც აქამდე პოლიტიკური ქულები მოგინაგრებია, თუ უკვე არ გაგიცამტვერებია, ნულამდე დაიყვან.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს ერთი არაფორმალი მმართველი ჰყავს - ჯორჯ სოროსის აგენტი, 8 პაჭიმრის მკვლელი, მართლმადიდებლობის უბოროტესი მტერი - გიგა ბოკერია

ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან.

— მამაო, როგორც ვხედავთ, დღეს ურთულესი ვითარებაა, როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკლესიაში. როგორია ამ მხრივ თქვენი მოსაზრება?

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

ჩემო ძვირფასო, მართლაც გული მტკივა და შეძრწუნებული ვარ ჩვენი ქვეყნის ასეთი დაცემით, რამეთუ ჩვენ თვალწინ ნადგურდება ყოველივე და რატომღაც ეს გასაჭირი არ აღელვებთ პოლიტიკოსებს.

მინდა სიმართლე მოგახსენოთ: თავი და თავი ამ უბედურებისა არის ის, რომ მოყოლებული 2003 წლიდან დღემდე, საქართველოს ბედს

განაგებს არაფორმალური მმართველი, ჯორჯ სოროსის აგენტები, საქართველოს ციხეში რვა კაცის მკვლელი, მართლმადიდებლობის უბოროტესი მტერი, ქვასროლია ბოკერია. ის იქამდე გაკადნიერდა, რომ მთავარ პროკურორს და შინაგან საქმეთა მინისტრს თავად იბარებს დაკითხვაზე, როცა თავად არის დასაკითხი მის მიერ ჩადენილ შავბნელ საქმეთა გამო.

ეს ჯალათი სინოდის კრებებს ზედამხედველობდა და თავისი სურვილისამებრ წყვეტდა ყველა საკითხს. ვაი, სირცხვილო!

ვეკითხები ერს, როდემდე უნდა გაგრძელდეს ამ მოღალატის ბოგინი. სამწუხაროდ, გიგა ბოკერია და ძმანი მისნი გახდნენ დღევანდელი ხელისუფლების სახე. ნაცვლად იმისა, რომ ბოკერია ციხეში იჯდეს და ცოდვებს ინანიებდეს, აქეთ დაგვცინის და გვემუქრება. აი, ბედის ირონია...

— მამაო, რას იტყვით მარიხუანას ლეგალიზაციაზე?

— მე მგონი, ჩვენს მთავრობაში უკვე ნორმალურად ვეღარ აზროვნებენ. როგორ შეიძლება გულში გაივლო ასეთი მკრეხელობა. ეს ხომ დამღუპველია ერისთვის, ეს ხომ ისეთ არეულობას გამოიწვევს, ისეთ სიბილწეს შემოიტანს ქვეყანაში, წარმოდგენაც შეუძლებელია. ათეული წლების წინ მარტო, მრევლთან და აკადემიკოს გურამ შარაძესთან ერთად ვებრძოდით ყოველგვარ უმსგავსობას. მაშინ დუმდა სრულიად საქართველო, ეკლესია. ბატონი გურამი დახვრიტეს, მე 5 წლით ციხეში გამომამწყვდიეს და სარბიელი სექტანტებს დაუთმეს, რის გამოც დღეს მწარე რეალობის წინაშე აღმოვჩნდით. ვინც ამ საწამლავს მიიღებს, ისინიც ხომ ღვთის შვილნი არიან. ხელისუფლებავ, ნუთუ ასე გძულთ თქვენი ერი, საზოგადოება, რომელთა მეშვეობით ზიხართ თბილ სავარძლებში, ასე რატომ იმეტებთ? მინდა ხმა მივაწვდინო ქართველ ხალხს, მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის ყველა ტელევიზია ყოფილი მხედრიონელების ხელთ არის, რომლებიც თითქოს მართლმადიდებლობისთვის დევნულთ იცავენ, როცა მე, საერთოდ არც მახსენებენ.

— მამაო, ამ ბოლო დროს ძალიან გააქტიურდნენ ლგბტ-ის წარმომადგენლები. რას გვიქადის ყოველივე ეს?

— არანაირი გამართლება, არანაირი კომპრომისი უმსგავსოთა მიმართ, ვინც მათ თანაუგრძნობს და გვერდით დაუდგება, სოდომ-გომორის თანამონაწილეა.

ვაფრთხილებ ფაქტობრივ ხელისუფლებას: მკაცრად აკრძალეთ საქართველოში ეს დამღუპველი სენი. გააცნობიერეთ, ამერიკის ზოგ შტატში, ევროპის ქვეყნებში, სადაც დააკანონეს ეს სიბინძურე, როგორ ისჯებიან ღმერთისგან წყალდიდობებით, ქარიშხლებით. თუმცაღა, იქედან გამომდინარე, რომ ეს სიბილწე ფეხს იკიდებს საქართველოში, დამსახურებული ღვთის სასჯელი არ გვაკლია. კიდევ ბევრს გვითმენს უფალი, მაგრამ ის გულმოწყალეა, ხედავს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არიან ჭეშმარიტი მორწმუნენი, რომლებიც მთელი არსებით ემსახურებიან უფალს, ებღაუჭებიან ღირსეული წარსულის ფესვებს და ცდილობენ, შეინარჩუნონ ერის მონაპოვარი, მზაობას აცხადებენ, იარონ ქრისტეს ეკლიან, წინააღმდეგობებით სავსე ვიწრო ბილიკზე.

— მამაო, სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ბათუმში და აჭარის რაიონებში ხულოში, ქედაში და სხვაგან არსებულ მეჩეთებთან შექმნილია სკოლები, მედრესეები, სადაც ამზადებენ ქართველ ვაჟებს 20–30, ზოგ სკოლაში ასი მოსწავლეც არის. შემდეგ გადაჰყავთ თურმე თურქეთში. ამასთან დაკავშირებით საქმის კურსში ხართ?

— მეტად საინტერესო საკითხია. ტრაგიკული წარსულით და სამწუხარო აწმყოთი, რომელზეც მოკლედ ვერ გიპასუხებთ, რამეთუ ეს ჩემი და ყველა ქართველის გულისტკივილია.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში მრავალი მეჩეთია, კვლავ შენდება თურქი დამპყრობლის აზიზიეს მეჩეთი, რომელიც თურმე ქართული ფულით უნდა აშენდეს. უფრო მეტიც, მთავრობის მაღალი ეშელონების ზოგი წარმომადგენელი აცხადებს, რომ 10–20–30 მილიონს მიახმარს მშენებლობას. ეს მაშინ, როცა უამრავი ავადმყოფი, ინვალიდი ბავშვი გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებს, მაგრამ ყურადღების მიღმა რჩება, ან რამდენი დაუცველი მოხუცი მედიკამენტების უქონლობის გამო სულს ღაფავს.

აჭარაში აქტიური ისლამიზაციის პროცესი მიმდინარეობს, რომელიც აქტიურ ფაზაში შევიდა პირწავარდნილი საკაშვილის დროს. ბათუმი ოკუპირებულია. აჭარის რეგიონში მეჩეთებთან გახსნილია მედრესეები, სადაც ქართველ ბიჭებს ამზადებენ, მერე თურქეთში გზავნიან. იქიდან კი ხოჯებად და მოლებად ბრუნდებიან, ყურანს ქადაგებენ, აგრესიას ამჟღავნებენ მართლმადიდებლობის მიმართ. აჭარის ახალგაზრდებს მუსლიმანურად ნათლავენ. ეს ხომ ერის ასიმილაციაა. თურქებს უზარმაზარი ტერიტორიები აქვთ მიტაცებული. ისმის კითხვა: არა ვართ ანექსირებული? ტერიტორიულად, ზნეობრივად, სულიერად.

ხალხო, ჩვენს თვალწინ, წინაპრების სისხლით გაპოხიერებულ მიწას ინაწილებენ და მკვიდრდებიან, ძირძველ კულტურას, ტრადიციას, ზნეობას, ოჯახის სიწმიდეს გვიბღალავენ, ყოველივე ქართულ გვართმევენ და, რაც მთავარია, ჩვენს სარწმუნოებას შეურაცხყოფას აყენებენ.

ჩვენ ვამაყობთ სახელოვანი წინაპრებით, რომელთაც სიცოცხლის ფასად გადმოგვაბარეს ყოველივე. ჩვენც ხომ ვიქცევით წინაპრებად. რით იამაყოს მომავალმა თაობამ? ყოველივე ნიშანდობლივი, წარხოცილია და გაცამტვერებული.

თურქებს ყოველგვარი უფლებები აქვთ ჩვენს ტერიტორიაზე, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. მათ ტერიტორიაზე კი ქართული სანომრე ნიშნების მანქანებს ტურისტებად ჩასულს არ ატარებენ, თვითონ გადაჰყავთ, ჩვენს მანქანებს აჯარიმებენ კიდეც. საქართველოს ისტორიას ასეთი გასაჭირი არასოდეს ჰქონია. ბათუმს საქართველოდ აღარ აღიქვამენ. ჩვენ ჩვენივე ქვეყანაში ლტოლვილები, უუფლებონი ვართ.

ახლა თურქებმა გადაიღეს ერთობლივი ფილმი „ხიდი“, რომელიც, როგორც ამბობენ, მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორი ისტორიული მეგობრობა, სიყვარული გვქონია, როგორ გვეხმარებოდნენ, გვიცავდნენ რუსი აგრესორებისგან. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ეს ხომ ყოველი ჩვენგანისთვის თვალში ნაცრის შეყრაა. თურქეთი არნახულ დაფინანსებას აძლევს სულგაყიდულ ქართველთ, რომლებიც სიამაყით აცხადებენ: „ფილმს ვიღებთ ქართულ-თურქულ ისტორიულ ძმობასა და მეგობრობაზეო“. სწორედ ამიტომ გვიკრძალავენ თურქები „დიდგორობის“ გამართვას, თურმე ამით მათი თავმოყვარეობა ილახება.

— მამა ბასილ, მსოფლიო პატრიარქზე რას იტყვით — ბართოლომეოსი ეკუმენისტია.

— მთელმა მსოფლიომ იცოდა, მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოსი რომ ეკუმენისტი იყო — აღმოსავლეთის პაპიზმის მიმდევარი. დღეს კი მან ღია ბრძოლა გამოუცხადა მართლმადიდებლობას. ამასაც მოვესწარით. მისი მიზანია მართლმადიდებლობაში ლიბერალური ტენდენციები შემოიღოს. ეს დასაწყისია უკომპრომისო ბრძოლისა ეკუმენიზმსა და ქრისტეს რწმენას შორის. ის შენიღბულად აღარ მოქმედებს. არჩევანი გაკეთებული აქვს, რამეთუ აშკარად ებრძვის ჭეშმარიტ ღმერთსა და მის მიმდევრებს. წილნაყარია ეშმაკთან. მოითხოვს ისეთ ქმედებებს, რომელიც ეწინააღმდეგება დიდი სჯულის კანონს, უფლის დადგენილ დოგმატებს. ეს პროცესი დასაბამია თითოეული ჩვენგანის გამოცდისა. რას ავირჩევთ, ქრისტეს მძიმე ჯვარს თუ დროებით, მიწიერ პურს... სწორედ ახლა, როგორც არასდროს, ჟამი არს მართლმადიდებელთა კონსოლიდაციისა, ერთიანობისა. სწორედ ახლა არს ზეციურ ძალთა მზერა მოპყრობილი საქართველოს ეკლესიისკენ. ვინ იქნება ის ღვთისნიერი, რომელიც იტვირთავს მძიმე ჯვარს და წარუძღვება ერს. პირველ რიგში, ვინ განწმენდს ეკლესიას უკეთურთაგან, შემდეგ ერთ მუშტად შეკრავს ერს, როგორც ქრისტემ შემატა დაკარგული ცხოვარი თავის ბაკს. ვინ იქნება ის ჭეშმარიტი, რომელიც ღირსეულად მიუმძღვანებს უფალს ქართველთ, როგორც ეს წმიდა ნინომ აღასრულა? ვევედროთ ყოვლადწმიდა დედას, გაგვაძლიეროს, განსაცდელის ჟამს თავისი კალთა გადმოგვაფაროს, იყოს შუამდგომელი ჩვენსა და ღმერთს შორის, რათა უზენაესს ერთობით ვაღიარებდეთ.

რაც ჩვენს თავს დღეს ხდება, ყოველივე თავსდატეხილი განსაცდელი შედეგია 2014 წლის 25–29 ივნისს სტრასბურგში ხელმოწერილი მემორანდუმისა. იმ საბედისწერო დოკუმენტში ისეთი ამაზრზენი პუნქტებია ჩადებული და გულისხმობს, პირდაპირი მნიშვნელობით, ყოველგვარი ტრადიციული სარწმუნოების დასამარებას. მისი წაკითხვაც კი შოკისმომგვრელია, არათუ შესრულება.

ამას მოჰყვა ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ხმის უმრავლესობით მიიღო. ეკლესიამ კი ცალსახად პოზიცია დაფიქსირა.

საპატრიარქო რომ თავის სიმაღლეზე იდგეს და ღმერთისგან დაკისრებულ ფუნქციას ასრულებდეს, ამ უკიდეგანო უფსკრულის პირას არ აღმოვჩნდებოდით. სააკაშვილის დროს ეკლესია მართული იყო, თავის ნებაზე ატრიალებდნენ. ახლა იქ ისეთი ქაოსია, ძნელი გასარკვევია, რა ხდება.

ქართველი ხალხის, ყველა მართლმადიდებლის სახელით მივმართავ, როგორც ხელისუფლების, ასევე ეკლესიის მესვეურთ: პირადი ინტერესები გვერდზე გადადეთ, გეყოთ,. რაც დააგროვეთ. ხალხის ცხოვრებით იცხოვრეთ, ყოველივე დროებითი და წარმავალია. ყველას საშინელი სამსჯავრო მიგველის. მიხედეთ დაბეჩავებულ ხალხს, გადაირჩინეთ სული!

ღმერთმა დაგლოცოთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ვინ დაგეგმა და ვინ გვაძალებს საქართველოს ავღანიზაციას?

ნარკოტიკები რომ დამღუპველია, ეს მავანთ მხოლოდ მას შემდეგ გაახსენდა, რაც ხელისუფლებამ მოსაზრება გამოთქვა კანაფის („მარიხუანა“) წარმოება-ექსპორტირების შესახებ. კურიოზული ნაციონალებისა და მისი სატელიტების ჟივილ-ხივილია, ვგულისხმობთ პოლიტიკოსებს, „ელიტარ“ უფლებადამცველებს, ე.წ. ცნობად სახეებსა თუ ჟურნალისტიკის „კორიფეებს“, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ თავგამოდებით ითხოვდნენ ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია-ლეგალიზაციას და სრულ მხარდაჭერას უცხადებდნენ პარლამენტის წინ მომიტინგე „თავისუფლებისმოყვარულებს“. მათ ქამელეონივით ფერი იცვალეს და ერის „გულშემატკივრებად“ მოგვევლინნენ, კანაფის მოყვანა-ექსპორტირება, რასაც თავად თვლიდნენ ფრიად მომგებიან ბიზნესად და ღიად ეწეოდნენ აგიტაცია-პროპაგანდას, თურმე მომავალი თაობების განადგურებას ემსახურება და ყველა სასიკვდილო ცოდვაში სდებენ ბრალს ბიძინა ივანიშვილსა და მმართველ ძალას. პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი როგორ ჩამორჩებოდა აბობოქრებულ „პატრიოტებს“, ყოველდღე გვმოძღვრავს შუაგულ ევროპიდან როგორი მავნეა ნარკოტიკები, დამატებით „უტყუარ“ ინფორმაციებსაც გვაწვდის ბიძინა ივანიშვილის „ნარკობარონობასთან“ დაკავშირებით, „ნაციონალები“ და მათი ბელადი „ქართულ ოცნებას“ რომ უკიჟინებენ, საქართველოს ავღანიზაცია უნდათ, რასაც არ დავუშვებთო, იქნებ გაიხსენონ ვინ აქცია ავღანეთი ყველაზე მსხვილ ნარკოტიკების მწარმოებელ სახელმწიფოდ, ან ვინ „შესვა“ ჩინეთი 19-ე საუკუნეში ნარკოტიკზე. ნატოს ჯარები რა დემოკრატიის დასამყარებლადაც შეცვივდნენ ავღანეთში, ყველას კარგად მოეხსენება, ზუსტად მას შემდეგ გაიზარდა ნარკობრუნვა 40-ჯერ, რაც საბჭოთა ჯარები დასავლელმა „მშვიდობისმყოფლებმა“ ჩაანაცვლეს. ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ისიც თქვა, ავღანეთის ეკონომიკის აღორძინების ერთ-ერთ (თუ არ ერთადერთ) გზად ნარკოტიკების წარმოების გაფართოება-განვითარება მიგვაჩნია, რომ ავღანელები რომ გამდიდრდებიან, მერე ვიფიქროთ სოფლის მეურნეობის სხვა კულტურებზეო. ეჭვი მაქვს, საქართველოს ეკონომიკის აღორძინების „ქვაკუთხედადაც“ ნარკოსფეროს განვითარებას მიიჩნევდნენ ჩვენი დასავლელი „მეგობარ-პარტნიორები“, როგორი ზეწოლას განიცდის მოქმედი ხელისუფლება იმ კონტიგენტისგან, რომელსაც შეურიგებელი ბრძოლა აქვს გამოცხადებული თავად დონალდ ტრამპისთვის, ამასაც კარგად ვხედავთ. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული „მსოფლიო-მამებმა“ ანკესი გადმოგვიგდეს, მოსინჯეს რა რეაქცია ექნებოდა საქართველოს მოსახლეობას „მარიხუანას“ წარმოებაზე, უარყოფითი რეაქციის შემთხვევაში ხელს საქართველოს ხელისუფლებას შეაწმენდდნენ, თითქოს ის იყო ამ „ნოვაციის“ ინიციატორი. ვფიქრობთ, ნაციონალებისა და მათი განაყრების ბოლოდროინდელი წიოკობაც ამაზე მიუთითებს.

საქართველო – ნარკოტრაფიკის შემადგენელი ნაწილი

საქართველო ათეულობით წლებია ნარკოტრანზიტულ ქვეყნად ითვლება, ეს განსაკუთრებით იმ პერიოდს ეხება, როცა ქვეყანას ნაციონალები მართავდნენ. გაეროს დასკვნებით, ტონობით ნარკოტიკი გაედინებოდა ჩვენი ტერიტორიის გავლით ევროპაში, მაგრამ ამის შესახებ თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები თუ საუბრობდნენ საქართველოში. პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე, რომელიც კომუნისტების მმართველობის პერიოდიდან მოყოლებული მუშაობდა ოპერატიულ სამსახურებში, არაერთხელ უსაუბრია ჩვენთან ინტერვიუში ამ თემაზე. რაც შეეხება ბოლო დროინდელ პერიპეტიებს, დავით გაგნიძე აცხადებს, რომ კანაფის წარმოება-ექსპორტირება მართლაც შემოსავლიანი ბიზნესია, მაგრამ საეჭვოა ხელისუფლებამ ბოლომდე შეძლოს გაკონტროლება, რომ იგი „შავ ბაზარზე“ არ მოხვდეს. საქართველოს საბჭოთა კავშირის დროსაც იყენებდნენ ნარკოტრანზიტისთვის, ავღანურ ნარკოტიკს საბჭოთა სამხედრო გენერალიტეტი აკონტროლებდა, მაგრამ მაშინაც ვერ ახერხებდნენ აქ ბოლომდე აღეკვეთათ ნარკობრუნვა, გარკვეული ნაწილი მაინც რჩებოდა. ახლა მით უმეტეს შეუძლებელია, ნამდვილად არ ჰყავს საქართველოს სათანადო ძალები. თუ ხელისუფლება მართლაც აპირებს კანაფის წარმოებას, თვითონვე შეიტანონ აფთიაქებში და როგორც მედიკამენტი, ისე გაიყიდოს ნარკომომხმარებლებზეო. „საერთო გაზეთი“ უკვე წერდა, რომ ნარკოტიკები „წითელი ხიდიდან“ შემოდიოდა და ძირითადად გემების საშუალებით „მარაგდებოდა“ დასავლეთის ქვეყნები. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, ნარკობრუნვამ მნიშვნელოვნად იმატა, ტრანსპორტირების ძირითადი საშუალებად გემები დარჩა. ბათუმის და ფოთის პორტებიდან რამდენჯერმე სრულიად ცარიელი გემები გასულა, როგორც ჩანს, ძალზე „მნიშვნელოვანი“ ტვირთი მიჰქონდათ, თორემ ცარიელ გემს არავინ წაიყვანდა, რადგან მისი დაქირავება ძალიან ძვირი ჯდება. იმასაც ამბობენ, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის ასლან აბაშიძესთან მწვავე დაპირისპირების მიზეზი სინამდვილეში ნარკოტიკები იყო, „ბობოლა“ ნაციონალებს ამ სარფიანი „ბიზნესის“ მონოპოლიზება სურდათო. თუ საბჭოთა სამხედრო გენერალიტეტი არ ტოვებდა საქართველოში ნარკოტიკს, მის ამერიკელ „მემკვიდრეს“, სენატორ მაკეინის კლანს (რომელსაც ლამის საფლავში ჩაყვნენ კოლექტიური ნაციონალები), ნარკოტიკით დაუწყია ტრანზიტის საფასურის გადახდა და ავღანეთის მსგავსად, სადაც ნატოს ჯარების შესვლის შემდეგ, „ოპიუმის“ ყაყაჩოს თითქმის სამ მოსავალს იღებენ, ლამის მთელი საქართველო გაანარკომანესო. დავით გაგნიძეს საეჭვოდ მიაჩნდა ჩვენი დიდი „მეგობრის“ მეთიუ ბრაიზას აზერბაიჯანში ელჩად გამწესება, რომელსაც საქართველოში თავი დიდად არ გამოუჩენია დიპლომატიური მოღვაწეობით. ბრაიზა აზერბაიჯანში იმიტომ ხომ არ მიავლინეს, რომ ისიც ნარკოტრანზიტული ქვეყანაა და საიმედო კაცი ჭირდებოდათო.

ისე, მართლაც საინტერესოა რა ბედი ეწია ერთ-ერთი ქართული ლუდ-ლიმონათის მწარმოებელი კომპანიის იმ სატვირთო ავტომანქანებს, რომლებიც რამდენიმე წლის წინ უკრაინა-ბელორუსიის საზღვარზე დააკავეს ბელორუსმა მებაჟეებმა, ნარკოტიკი გადაჰქონდათო. რაღაც ძალიან საეჭვოდ მიჩუმათდა ეგ ამბავი.

რა კავშირშია აზიელი მიგრანტების მასობრივი შემოდინება ნარკობიზნესთან?

ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია-ლეგალიზაციის ინიციატორები „მარიხუანას“ წარმოებასაც რომ ითხოვდნენ, აქაოდა მომგებიანი ბიზნესიაო, მაშინვე გაგვიჩნდა ეჭვი, „პროგრესულების“ უცხოელი პატრონები საქართველოს სოფლის მეურნეობის ავღანურ-კოლუმბიურ „რელსებზე“ გადაყვანას გეგმავდნენ, რასაც წინასწარ გვაჩვევდნენ. დავით გაგნიძემ ეს ვერსია არ გამორიცხა, საქართველოში შესაბამისი ბუნებრივი კლიმატური პირობებია, „მარიხუანათი“ დაიწყებენ და მერე „ოპიუმის“ ყაყაჩოს მოყვანასაც მოითხოვენ, ხელისუფლებამ ეს თუ დაუშვა, საქართველო დაუსრულებელი ომების, კლანური დაპირისპირების კერა გახდება, როგორც ავღანეთი, რომელიც ფაქტობრივად განადგურებულია. საბჭოთა ჯარების იქ ყოფნის დროს 500–600 ტონა „ოპიუმს“ აწარმოებდნენ ავღანელები, „გათავისუფლების“ შემდეგ 9 000 ტონამდე ავიდა წარმოება, რაც მსხვილი დასავლური ბანკების ხელშეწყობით ხდება. თითქმის ყველა ომს ამერიკული ბანკები აფინანსებენ, ვიეტნამის ომის დროს, ისინი თურმე საბჭოთა კავშირს აფინანსებდნენ, ანუ მათთვის მთავარი ფულია. „ოპიუმის“ ყაყაჩოზე მაღალშემოსავლიანი კულტურა ბუნებაში არ არსებობს. დავით გაგნიძის განცხადებით, გამორიცხული არ არის, „პროგრამაში“ ჩვენც ჩაგვრთეს, ნაციონალების მმართველობისას მასიურად დაიწყეს ინდოელების შემოყვანა, რაც ფაქტობრივად დღესაც გრძელდება. მათ ჩალის ფასად მიჰყიდეს ქართული მიწები, ინდოეთი (იმ პერიოდში ინგლისის კოლონია) იყო პირველი ქვეყანა, სადაც მასობრივად დაიწყო ყაყაჩოს მოყვანა და „ოპიუმის“ წარმოება, რაც მერე ჩინეთში გაავრცელეს. რესპოდენტი ეჭვობდა, რომ მავანთ საქართველოში ყაყაჩოს პლანტაციების გაშენება უნდათ და ამ მიზნით შემოყავთ ინდოელები. ისინი თავიანთ „მამულებს“ ისე დაიცავენ, იქ ფეხს ვერავინ შედგამს, ქართველ მუშებს იქ არავინ შეუშვებს და მერე რას დათესავენ ღმერთმა უწყისო.

სააკაშვილი თავისით ვერ მოიფიქრებდა ირანთან სავიზო რეჟიმის გაუქმებას. იმ ფონზე, როცა ამერიკასა და ირანს დაძაბული ურთიერთობა იყო, რაც ბოლო ხანს კიდევ უფრო გამწვავდა, როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი ოკეანისგაღმელი „პატრონების“ გარეშე ამას გაბედავდა. ამერიკელებს ნარკოტრანზიტის დამალვა უნდოდათ, იმიტომაც შემოაღებინეს ირანთან უვიზო რეჟიმი, ისევე როგორც ბრაზილიასთან, რომელთანაც არაფერი გვაკავშირებსო. ისე, მართლაც საოცარია, ამერიკის მეგობრად და სტრატეგიულ პარტნიორად თვლიდე თავს და ამ დროს კარს ფართოდ უღებდე ირანელებს, რომელთაც ასეულობით ჰექტარი მიწა აქვთ უკვე მფლობელობაში, ბიზნესის ლამის ყველა სფერო აქვთ ხელში ჩაგდებული და ყველანაირად ავიწროებენ ქართველებს. თუ რამე გააპროტესტე, მაშინვე იმ კანონს იშველიებენ, რომელიც რატომღაც უცხოელებს აყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ყველაზე მეტად ის მაკვირვებს, განათლების სფეროში ამდენი არასპეციალისტი სად იპოვეს და საიდან მოიყვანეს?

განათლების სისტემა დიდი ცვლილებების მოლოდინშია. ორთვიანი დაკვირვების შემდეგ გაერთიანებული სამინისტროების ხელმძღვანელმა მიხეილ ბატიაშვილმა განათლების სამინისტროში საფუძვლიანი საკადრო წმენდა ჩაატარა.

განათლების სფეროში განხორციელებული თუ განსახორციელებელი რეფორმების შესახებ განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი ნათელა მაღლაკელიძე გვესაუბრა:

— როგორც დარგის სპეციალისტი და მასწავლებელი, წლების განმავლობაში, ჩემს სტატიებსა და მოხსენებებში ძირითადად, ორი მიმართულებით ვამახვილებდი ყურადღებას: ერთია ეროვნული სასწავლო გეგმა და მეორე — ერთიანი ეროვნული გამოცდები.

2005 წელს, როდესაც ეროვნული სასწავლო გეგმის საცდელი ვარიანტი საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანეს, უამრავი კითხვა და შენიშვნა გამიჩნდა. ყველაზე მეტ კითხვას აჩენდა ის, რომ ძირითად სამოქმედო დოკუმენტში ცოდნა მთლიანად იგნორირებულია და თავიდან ბოლომდე ორიენტირებულია უნარ-ჩვევებზე, არადა ძველი სასწავლო პროგრამები ცოდნაზე ორიენტირებული გახლდათ. რა თქმა უნდა, ის პროგრამები მოძველებული იყო და რა ცოდნას აძლევდა, საკითხავია, მაგრამ ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მხოლოდ ის იყო მითითებული, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს და არსად ეწერა, რა უნდა იცოდეს მან.

— **რატომ?**

— ამას იმით ხსნიდნენ, რომ უამრავი ინფორმაცია დაგროვდა და ყველაფრის სწავლა შეუძლებელია, ამიტომ მოსწავლეს ისეთი უნარები უნდა გამოვუმუშაოთ, რომ თვითონ შეძლოს სწავლაო. ესეც ახალი ტერმინია, რომელიც ჩვენს დარგშიც 2005 წლის შემდეგ დამკვიდრდა. მაშინ ჩემი პირველი შენიშვნა იყო, რომ უნარ-ჩვევები კონკრეტული ვერ იქნება, ზოგადია და შეიძლება ზედმეტად დაგვაბნიოს. წარმოიდგინეთ, მასწავლებელი შეფასებას წერს არა ცოდნაში, არამედ უნარ-ჩვევებში, რადგან გარემოებების ცოდნაზე გამახვილდა ყურადღება, რამაც ერთგვარი სტიმული მისცა რეპეტიტორობის დაწყებას და გაძლიერებას. ბუნებრივია, როცა სკოლა ბავშვს სათანადო ცოდნას ვერ აძლევს, რეპეტიტორის ინსტიტუტი აუცილებელი ხდება.

— **ეს სკოლის ბრალია თუ საგამოცდო ცენტრის?**

— ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, თუმცა მე როგორც ენის სპეციალისტი ყოველთვის ვამბობდი, კიდევ კარგი, რომ არსებობს ერთიანი ეროვნული გამოცდები, იმიტომ რომ სკოლა მთლიანად მოსწავლის შეფასების მთავარი კრიტერიუმი ეს გახლავთ.

— **რა ვითარებაა ეროვნული გამოცდების მიმართულებით?**

- ეროვნულ გამოცდებზე ორიენტეცია აღებულია ფაქტობრივ ცოდნაზე. მაგალითად ავიღოთ ქართული ენა, რომელიც საკმაოდ რთული საგანია. ეროვნულ სასწავლო გეგმაში მისი საკითხები ძალიან ზოგადად არის წარმოდგენილი. მაგალითად, მითითებულია, რომ ბავშვმა უნდა იცოდეს სახელისა და ზმნის ძირითადი კატეგორიები და უნდა შეეძლოს მათი სწორად გამოყენება. იმას რომ თავი დავანებოთ, რომ ზმნის ძირითად კატეგორიებზე ენათმეცნიერები დღემდე დავობენ, არსად არ არის მითითებული რა უნდა იცოდეს ამ კატეგორიებიდან ბავშვმა. არადა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სწორედ ფაქტობრივი უნარ-ჩვევებზეა ორიენტირებული და ბავშვები გამოცდების გამო მაინც სწავლობენ რაღაცას. მეორე ამბავია მასწავლებლის მომზადების საკითხი. ჯერ კიდევ რეფორმამდე გაჟღერდა, რომ დაწყებითი სკოლა 1–6 კლასებით განისაზღვრებოდა. პირველი კითხვა, რაც მაშინ გამიჩნდა, იყო — როგორ უნდა ვასწავლოთ 1–6 კლასებში, ყველა საგანი ერთმა მასწავლებელმა თუ საგნობრივი სწავლება გვექნება? ამ კითხვაზე პასუხი ვერც მაშინ მივიღე და მერე. პირადად მე ძალიან ცოტა მეგულება ისეთი მასწავლებელი, რომელიც 1–6 კლასში შეძლებს ყველა საგნის სწავლებას. ჩავხედოთ ეროვნულ სასწავლო გეგმას, იქ ისეთ უნარებზეა საუბარი, რომ ერთი მასწავლებელი ერთდროულად, სამივე საგანში ვერ მისცემს, ამიტომ ეს საკითხი ცოტა გაურკვეველია. 2011–12 წლების შემდეგ ყველას მასწავლებლობის უფლება მისცეს, ვინც სასერტიფიკატო გამოცდებს ჩააბარებდა.

— **მათ შორის არაპედაგოგიური პროფილის კადრსაც არა?**

— დიახ. სურვილის შემთხვევაში, ამ გამოცდებზე ნებისმიერს შეეძლო გასვლა მიუხედავად იმისა, რა საბაკალავრო განათლება ჰქონდა მიღებული. ინჟინერი იქნებოდა, აგრონომი თუ ასტრონომი, მნიშვნელობა არ ჰქონდა. მერე უცბად გადაწყვიტეს, რომ მასწავლებლის მომზადება 4 წელიწადში ვერ მოესწრება და ისევ 5 წლიანი სასწავლო გეგმები მოვამზადოთო და გაჩნდა ე.წ. 300 კრედიტიანი პროგრამა. ეს 300 კრედიტიანი პროგრამა ნიშნავდა მასწავლებლის მომზადებას 5 წელიწადში, ოღონდ ის თავისი სტატუსით განათლების მაგისტრს გაუტოლდებოდა. 3 წლის წინ დავიწყეთ ამ გეგმებზე მუშაობა, მაგრამ მერე ეს ამბავი შეფერხდა და ამ 300 კრედიტიანი პროგრამების მომზადება მხოლოდ დაწყებითების მასწავლებლებისთვის მოესწრო. იცით, როდის გაიარა ამ 300 კრედიტიანმა პროგრამამ აკრედიტაცია? წელს, ივლისის თვეში, როცა აბიტურიენტს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა და იმ არჩევანში პედაგოგიური მიმართულება არ ეწერა. ვერც ეწერებოდა იმიტომ, რომ არ ივლისამდე აკრედიტებული არ ყოფილა. როგორ შეიძლებოდა ამ პროგრამების ივლისში აკრედიტაცია? ეს ხომ ძალიან დიდი შეუსაბამობაა, მაგრამ მთავარი შეუსაბამობა ის არის, რომ დღემდე მასწავლებლის სამოდელო გაკვეთილის შეფასებაში მასწავლებლის ცოდნასა და კომპეტენციაზე ყურადღება არ მახვილდება და მთელი აქცენტი უნარ-ჩვევებზეა გადატანილი. არ შეიძლება ცოდნის ასე იგნორირება. ის უნარ-ჩვევები უნდა იყოს ცოდნის შედეგი და არა მექანიკური წვრთნის, თორემ მაშინ კინოლოგებს შევიყვანდით ბავშვებთან.. წვრთნა ყველაზე კარგად მათ იციან.

— **„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის 6 წელიწადში განათლების სფეროში 4 მინისტრი შეიცვალა, თუმცა, ბატიაშვილის მოსვლამდე ცვლილებების აუცილებლობაზე არავის უფიქრია..**

— შეიცვალა მარტო ის, რომ ადრე თუ უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა მარტო სოციალურად დაცველი ოჯახის შვილებისთვის მუშაობდა, მარგველაშვილის მინისტრობის დროს ყველასთვის უფასო გახადა. უფასო ქვეყანაში არაფერი არ არის და იცით, ვის ხარჯზე განხორციელდა ეს ცვლილება? 2012 წელს ჩემმა საბაზო და საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებმა გრიფი მიიღეს, მაგრამ ფაქტობრივად, ჰონორარი არ აგვიღია იმიტომ, რომ წიგნები სახელმწიფომ შეისყიდა და გამომცემლობებს კაპიკები გადაუყარა.

— **მინისტრის მოადგილემ თემურ მურღულიამ თქვა, რომ მისი თანამდებობიდან გაშვება გრიფირების პროცესს არ უკავშირდება..**

— არ ვიცი რას უკავშირდება, მაგრამ ბოლო გრიფირების პროცესში ისეთი დარღვევები იყო, მსგავსი 90-იან წლებშიც კი არ მინახავს, როცა კორუფცია ყვაოდა. წინა წლებში ჩვენ ყოველთვის გვქონდა ექსპერტებთან შეხვედრის და აზრის გაზიარების შესაძლებლობა, ახლა ამაზე ფიქრიც გამორიცხულია. როგორც დარგის სპეციალისტს, ყველაზე მეტად ის მაღელვებს ამდენი არასპეციალისტი სად იპოვეს და საიდან მოიყვანეს?

საუბარი რომ აღარ გამიგრძელდეს, გეტყვით, რომ განათლების სფეროში შესაცვლელი და გასაკეთებელი ძალიან ბევრია, ამიტომ წარმატება ვუსურვოთ ახალ მინისტრს ამ არც თუ ისე ადვილ საქმეში.

ნელი თორდია
571 35 36 88

ძლიერი რეგიონები

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● ქვემო ქართლის გუბერნატორი შოთა რეხვიაშვილი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გასაცნობად რამდენიმე ასეთ ადგილს ესტუმრა.

გუბერნატორი მუნიციპალიტეტის მერთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა ქალაქ თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც ტურისტული თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს. ადგილზე დაცულია დაახლოებით 11 000 ექსპონატი, მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა, ადგილობრივი ყოფისა და ეთნოგრაფიის ნიმუშები და XX საუკუნის ისტორიის ამსახველი მასალები. გუბერნატორმა არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გაამახვილა ყურადღება და ადგილობრივებისგან ამ მიმართულებით განსახორციელებელი გეგმები მოისმინა.

მხარის გუბერნატორი ასევე იმყოფებოდა სოფელ ასურეთში მდებარე შვაბების ქუჩაზე, სადაც დღემდე შემორჩენილია გერმანელ კოლონისტთა ყოფის უნიკალური მატერიალური ძეგლები: საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, უნიკალური ღვინის მარანი, გოთური სტილით ნაგები ლუთერანული ტაძარი და მელი გერმანული არქიტექტურული სტილის საცხოვრებელი სახლები.

აღსანიშნავია, რომ სოფელ ასურეთში 2016 წელს დაიწყო სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო პროექტი, რომელიც გერმანული მემკვიდრეობის სრულყოფილ რეაბილიტაციასა და არქიტექტურულ-სტილისტური მეთოდოლოგიის და ავთენტურობის შენარჩუნებას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში ინფრასტრუქტურა უკვე მოწესრიგდა 9 აპრილისა და შვაბების ქუჩებზე, დაგეგმილია სამი საცხოვრებელი სახლისა და ლუთერანული ეკლესიის რეკონსტრუქციაც.

შოთა რეხვიაშვილმა თეთრიწყაროს მერთან ერთად დაათვალიერა დაბა მანგლისის ცენტრალური პარკი, სადაც მიმდინარე წელს არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია დაიწყება. პროექტის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებებისა და ფესტივალების ჩატარება.

გუბერნატორი მანგლისის სიონშსაც ესტუმრა.

● სოფელ ჭივჭავსა და სოფელ გოლთეთში ახალი კომბინირებული სპორტული მოედნები დაათვალიერეს ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა შოთა რეხვიაშვილმა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ქორიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შედეგად, უკვე შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა სპორტული აქტივობა, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაციას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

სამუშაოები დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან: ჭივჭავის სტადიონის მშენებლობა ხელშეკრულებით 54 406 ლარს შეადგენს, ხოლო გოლთეთის სტადიონის რეაბილიტაცია – 36 171 ლარს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● სოფელ არაშენდის მოსახლეობა მუნიციპალიტეტის მერთან შეხვედრაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ასახელებს. არჩილ ხანდამაშვილმა მათ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არაშენდა-დარჩიეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 2019 წელს იგეგმება.

არაშენდაში ახალი ჭაბურღილის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ადგილობრივებს ამით წლის პრობლემა მოუგვარდებათ.

● სოფელ ვეჯინში სამ ჭაბურღილზე – ცენტრალურ რეზერვუართან, ე.წ. „ხეოაანთ" უბანსა და ე.წ. „მოციქულთან" არსებულ ჭაბურღილებზე შეიცვალა წყლის ტუმბოები;

გასუფთავდა და დეზინფექცია ჩაუტარდა ცენტრალურ, 300-ტონიან რეზერვუარს;

მოსწორდა შიდასაუბნო და სავარგულებთან მისასვლელი გზები;

სოფლის ამბულატორია საგანგებოდ მისთვის აშენებულ შენობაში გადავიდა;

რამდენჯერმე მოეწყო დასუფთავების აქცია;

სოფელში დამატებით განთავსდა ნაგვის ათი ახალი კონტეინერი;

ამ დროისთვის მიმდინარეობს ე.წ. „ჰესის" უბნის გზის რეაბილიტაცია;

● სოფელ ბაკურციხეში:

მოასფალტდა ე.წ „სამადაანთ" უბნის გზა და მოეწყო სანიაღვრე არხი;

მოსწორდა შიდასაუბნო და სავარგულებთან დამაკავშირებელი გზები;

გაიწმინდა წლის სათავე ნაგებობა;

მოსახლეობის ჩართულობით ქვა-ღორღისგან გაიწმინდა ორხევის წყარო.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა სასწავლო წლის დაწყება მშობლიური სკოლის – აფენის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს მიულოცა და შემდეგ რეაბილიტირებული სკოლა დაათვალიერა.

ჯონდო მდივნიშვილმა სასწავლო წლის დაწყება ქ. ლაგოდეხის № 3 და სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგებს მიულოცა.

წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში 447 პირველკლასელი დარეგისტრირდა. თითოეულს სახელმძღვანელოსთან ერთად საჩუქრად კომპიუტერი გადაეცა. კომპიუტერი მიიღეს პირველკლასელების დამრიგებლებმაც.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● სიღნაღში ცენტრალური უბნების – ბარათაშვილის, თამარ მეფის, ქეთევან წამებულის, ლოლაშვილის, გორგასლის, ცხრა აპრილის, აღმაშენებლისა და ბეჟანიშვილის ქუჩების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ქვაფენილის საფარის, ფასადების, დაზიანებული ხის აივნების და კარებების მოპირკეთება, შეცვლა და განახლება.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გოგილაშვილმა დაათვალიერა. პროექტი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მასზე 100 000 ლარი დაიხარჯება.

● ბოდბეში ახალი საწარმო შენდება – მეცხოველეობის კომპანია შპს „თეთრი ფერმის" სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გოგილაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ მადონა ბატიაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

„თეთრი ფერმა" ოთხას სულ საქონელზეა გათვლილი და საძროხეებს, მარცვლეულის საცავს, თივის საწყობს, ადმინისტრაციულ შენობას და სარძეო ბლოკს მოიცავს.

მშენებლობის დასრულების შემდეგ ფერმაში ადგილობრივები დასაქმდებიან.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივითა და ხელშეწყობით უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის საშეშე მერქნის დარიგება დაიწყო. ამ ეტაპზე შეშით უზრუნველყოფილია ჟინვალის, ლაფანაანთკარის, ბაზალეთის, მაღაროსკარისა და ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები ოჯახები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● 17 სექტემბრიდან ზუგდიდის საჯარო სკოლების, საბიუჯეტო ქსელის სახელოვნებო სკოლების, სახელმწიფო ბაღების თანამშრომლები, აკრედიტებული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ იმგზავრებენ.

მერიის საპილოტო პროექტისთვის ამ ეტაპზე 20 000 ლარია გამოყოფილი.

● მერიაში სოციალური დახმარების თაობაზე შესული განცხადებებისა და მიმართვების საფუძველზე სოციალური მდგომარეობისა და პირობების შესწავლის მიზნით შექმნილი კომისია ბენეფიციარების განცხადებებს ადგილზე ამოწმებს. განცხადებები შეეხებოდა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალურ დახმარებას, ბინის ქირით უზრუნველყოფასა და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარებას. კომისია ამჟამად რუხის, ზედაეწერის, ჩხორიას, ჭითაწყარის, ხეცერას, აბასთუმნის, ჯუმის, ახალსოფლისა და ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებთა პირობებს ეცნობა.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში

● მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი ჯიქია ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ახალ დირექტორს,



ძლიერი საქართველოსთვის

ფოთი

დავით ებრალიძეს შეხვდნენ და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 75-პროცენტიანი წილის მფლობელია ჩინური კომპანია CEFC, რომელიც ენერგეტიკის, საფინანსო, კომერციულ, სავაჭრო და ლოგისტიკის სფეროებში საქმიანობს და Fortune Global 500-ის შემადგენლობაში შედის.

„ფოთის ინდუსტრიული ზონა არის ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აქტივი და მისი გაცოცხლება, მისი აქტიური ამუშავება ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. ასეთი მსხვილი ჩინური კომპანიის გამოჩენა ჩვენს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმატების მომტანი იქნება როგორც ქალაქისთვის, ისე ქვეყნისთვის“, – განაცხადა შეხვედრისას ქალაქის მერმა გოჩა კურდღელიამ.

● ფოთის პორტში თურქული გემი TCG BAYRAKTAR (L-402) შევიდა. გემზე ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის საზღვაო-სამხედრო სასწავლებლის პირველი კურსის 400-მდე სტუდენტი იმყოფება და ისინი საზღვაო სწავლებას გაივლიან.

სტუმრებს დახვდნენ ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი ჯიქია, მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები, თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ბათუმში ქ-ნი მაქბულე კოჩაკი.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყო. პროექტი მოიცავს ქალაქ მარტვილს, ნახარებაოს, საელიაოს, ნალეფსაოს და ქვაითს, ჯამში 1258 აბონენტს. პროექტის ღირებულება 4467 846 ლარია. სამუშაოები საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დაფინანსებით ხორციელდება.

მიმდინარე სამუშაოებს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა გაეცნო.

● მუნიციპალიტეტის კურზუს ადმინისტრაციულ ერთეულში სასწავლო პროცესი ახლად აშენებულ დაწყებით საჯარო სკოლაში დაიწყო. სკოლა მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე გრიგალავამ და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა გახსნეს.

რესურსცენტრის მონაცემებით, წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში 400-მდე პირველკლასელი დარეგისტრირდა.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია სენაკს ესტუმრა. გუბერნატორმა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად იუსტიციის სახლის მშენებლობა დაათვალიერა.

სენაკის იუსტიციის სახლი 587 კვ. მეტრი იქნება და ის 5965 კვ. მეტრის ტერიტორიაზე განთავსდება. შენობა არქიტექტურულად და ფუნქციურად დაამშვენებს და გააფართოებს ქალაქის არეალს. იუსტიციის სახლის კონცეფციის შესაბამისად, სამოქალაქო და საჯარო რეესტრის სამსახურები აქაც ერთ სივრცეში მოექცევა. აქვე განთავსდება ქორწინების სახლი და სასწავლო ცენტრი. სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის 400-ზე მეტი სერვისის ერთ სივრცეში მიღება სენაკშიც იქნება შესაძლებელი. სამუშაოები მიმდინარე წლის დეკემბერში სრულდება.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● სოფელ ლესიჭინეში საზოგადოებრივი ცენტრი იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მაჟორიტარი დეპუტატი გოგა გულორდავა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ესებუა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საკრებულოს წევრები, მოწვეული სტუმრები და ადგილობრივი მოსახლეობა.

საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით, მოსახლეობას მიეცემა საშუალება სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისით.

ცენტრი ლესიჭინესა და მის მიმდებარე შვიდ სოფელში (ქვედა ჩხოროწყუ, ახუთი, კირცხი, ხიბულა, ზანა, უშაფათი და ფოცხო) მცხოვრებ 10 000-მდე მოქალაქეს მოემსახურება.

დღემდე ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინტერნეტმომსახურება ერთ-ერთ გამოწვევად რჩებოდა. სოფელში არ არის ბოჭკოვანი კაბელები. მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ „მაგთის“ ინტერნეტი, რომლითაც ერთეულები სარგებლობდნენ. ლესიჭინეში არ იყო მობილური ოპერატორებისა და „ლიბერთი ბანკის“ ოფისებიც. საზოგადოებრივი ცენტრის გახსნის შემდეგ ეს პრობლემებიც მოგვარდა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● ბოლნისის №5 საჯარო სკოლისთვის ახალი სასწავლო წლის დაწყება გამორჩეულად მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან, სკოლის არსებობის მანძილზე პირველად, შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა.

მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა განახლებული სკოლა ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილესთან, ზაურ დარგალთან ერთად საზეიმოდ გახსნა.

№5 საჯარო სკოლა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ მიერ რეაბილიტირდა და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა.

ანალოგიური სამუშაოები ჩატარდა სოფელ ტალავერის №1 საჯარო სკოლაშიც.

დავით შერაზადიშვილი: „მინდა განსაკუთრებული პატივისცემა გამოვხატო სკოლის დირექტორის მიმართ. რომ არა მისი დაუღალავი შრომა და მონდომება, დღეს არ გვექნებოდა ასეთი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი შენობა. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და„ ათასწლეულის გამოწვევის ფონდს“ ასეთი შესანიშნავი პროექტის განხორციელებისთვის“.

● მალე ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეძვნარიანს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რიტუალების სახლი ექნება. სოფლის მოსახლეობამ მუნიციპალიტეტის მერს ამის შესახებ პირადად სთხოვა ძეძვნარიანში გამართულ შეხვედრაზე. როგორც დავით შერაზადიშვილმა მოსახლეობას განუმარტა, პროექტი მუნიციპალიტეტს უკვე შესყიდული აქვს და უახლოეს დღეებში სატენდერო პროცედურები დაიწყება.

დმანისის მუნიციპალიტეტში

● დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში იფნარის თემის მოსახლეობასთან შეხვედრას დმანისის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ტატუაშვილი უძღვებოდა. იმსჯელეს იფნარის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, სოფ. იფნარში დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

● დასრულდა ელექტრონული ტენდერი ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საერთაშორისო გზიდან სოფელ პატარა დმანისის მისასვლელი გზის მოასფალტებისა და არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზამდე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე. დმანისის მუნიციპალიტეტსა და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას შორის უკვე გაფორმდა ხელშეკრულება აღნიშნული სამუშაოების შესრულების შესახებ. პროექტის ღირებულება შეადგენს 489 000 ლარს, სამუშაოები 2018 წლის სექტემბრიდან 2018 წლის 13 ნოემბერის ჩათვლით გაგრძელდება.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

● გასულ კვირას მარნეულის მუნიციპალიტეტში მხარის გუბერნატორისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების სოფელ ყიზილავჯლოს მოსახლეობასთან შეხვედრის დროს გამოკვეთილ საჭიროებებს მყისიერი რეაგირება მოჰყვა.

ამ ეტაპისთვის მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, სოფელ ყიზილავჯლოს სხვადასხვა უბანში მუნიციპალურმა ა(ა)იპ „სუფთა მარნეულმა“დამატებით ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნები განათავსა. გარდა ამისა, შპს „საქართველოს მელიორაციის“ სამსახური აქტიურად წმენდს სოფელში არსებულ ხრამარხის გამანაწილებელ მაგისტრალურ არხს.

წალკის მუნიციპალიტეტში

ჰუმანიტარული აქცია გაიმართა ქ. წალკაში. „მრავალეროვანი საქართველოს ქალები“ – ამ ასოციაციისა და საქართველოს ქალთა საბჭოს ერთობლივი ორგანიზებით ჰუმანიტარული დახმარება (საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები) გადაეცა მრავალშვილიან დედას, რომლის ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. გარდა ამისა, ოჯახში ძალადობისგან დაზარალებული ქალებისა და მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი) დედებისთვის დარიგდა ტანსაცმელი. ასევე ჩატარდა უფასო სამედიცინო კონსულტაციები. თერაპევტმა და პედიატრმა შეამოწმეს ქალების და ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა და სათანადო რჩევები გასცეს.

ბოლნისი

ჰააგის სასამართლო აშშ-ს სამხედროების წინააღმდეგ

ამერიკის შეერთებულ შტატებში რაც უფრო ახლოვდება შუალედური არჩევნები, მით უფრო მეტს საუბრობენ და შიშობენ კიდეც პროცესში უცხო ქვეყნების ჩარევაზე. პოლიტოლოგები ცალკეული ფირმებისა და კორპორაციების სახელმწიფო საქმეებში ჩარევასა და გავლენაზეც საუბრობენ. ამიტომაც პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გასულ კვირას მოაწერა ხელი კანონს. დადგენილებით, ნებისმიერ ფირმას, კორპორაციას თუ ცალკეულ პიროვნებას, ვისზეც ეჭვს მიიტანენ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევაზე, მასალები გადასცენ სათანადო ორგანოებს და 45 დღეში დაუწესონ სანქციები სახელმწიფო დონეზე.

დონალდ ტრამპზე კიდევ ერთ დარტყმად შეაფასეს ექსპერტებმა მისი საარჩევნო შტაბის ყოფილი ხელმძღვანელის პოლ მინაპორტის დათანხმება თანამშრომლობაზე სპეციალურ პროკურორ მიულერის საგამოძიებო ჯგუფთან, რომელიც არჩევნებში რუსულ კვალს იძიებს.

დღემდე წაყენებული ბრალდებებით, მინაპორტს 10 წლამდე პატიმრობა ელოდებოდა. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, შესაძლოა, მას ბრალდება დაუმძიმდეს. რა გახდა მისი თანამშრომლობაზე დათანხმების მიზეზი, უცნობია. სასამართლო პროცესები 16 ნოემბრიდან დაიწყება, როდესაც შუალედური არჩევნები უკვე ჩავლილი იქნება.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია — ტრამპის მოწინააღმდეგეები ნებისმიერ შემთხვევას იყენებენ მისი დისკრედიტაციისთვის. ერთ-ერთმა პორნოვარსკვლავმა გამოსცა წიგნი (?!), სადაც, ყველაფერთან ერთად, ავტორის ტრამპთან ინტიმური ურთიერთობებიც არის აღწერილი. წიგნი ახლო მომავალში გამოდის. თეთრი სახლის ადმინისტრაციას კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება — ავღანეთში 2003-დან 2006 წლამდე მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ არაჰუმანურ ქმედებებში დაადანაშაულა ამერიკელი სამხედროები. ტრიბუნალის გადაწყვეტილებამ გააღიზიანა აშშ-ის ადმინისტრაცია. უსაფრთხოების საკითხებში დონალდ ტრამპის თანაშემწის ჯონ ბოლტონის განცხადებით, თუ ჰააგის მოსამართლეები აშშ-ის მოქალაქეების წინააღმდეგ აღძრავენ საქმეს, თავადაც აღძლავენ საქმეს მოსამართლეების წინააღმდეგ. სანქციებითაც დაიმუქრა და საერთოდ არ ვითანამშრომლებთ ტრიბუნალთანო, განაცხადა. ექსპერტების თქმით, აშშ-ის დამოკიდებულება ჰააგის ტრიობუნალის მიმართ საფრთხეს უქმნის მსოფლიოში საერთაშორისო სამართალს.

აშშ-ის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები უკვე პირდაპირ ემუქრებიან სირიას, ირანსა და რუსეთს. თუ იდლიბის პროვინციაში ტერორისტებზე განახორციელებენ შეტევას, ასეთ შემთხვევაში მათი ჯარები დაუპირისპირდებიან სირიისა და რუსეთის სამხედროებს. გასული კვირის ბოლოს ისრაელის მხრიდან განხორციელდა დამასკოს აეროპორტზე სარაკეტო შეტევა, მაგრამ სირიის საჰაერო თავდაცვამ გაანეიტრალა რაკეტები და ობიექტი უვნებლად გადარჩა. ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემები უკვე მიუახლოვდნენ სირიის საზღვრებს. თურქეთმაც გააძლიერა სამხედრო კონტინგენტი სამხრეთის საზღვრებთან, იდლიბის მიმართულებით. პენტაგონი საბრძოლო მოქმედებების დაწყებაზე არ საუბრობს, რაც ტრამპის გაღიზიანებას იწვევს. ამერიკული პრესის ინფორმაციით, დონალდ ტრამპმა თავდაცვის მინისტრ ჯეიმს მეტისზე ზურგსუკან განაცხადა: „...ცოფიანი კი არა, ზომიერი ქოფაკი ყოფილაო“. მათივე ცნობით, საგარეო პოლიტიკის საკიტხებს მასთან აღარ ათანხმებსო. ამერიკელი მიმომხილველები ვარაუდობენ, არჩევნების შემდეგ ჯეიმს მეტისს თანამდებობას დაატოვებინებსო.

გასული კვირის მთავარი მოვლენა რუსეთის ქალაქ ვლადივოსტოკში უკვე მეოთხედ გამართული აღმოსავლეთ ქვეყნების ეკონომიკური ფორუმი გახლდათ. საკვანძო საპორტო ქალაქი ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკურ არენად იქცა. იმის გარდა, რომ 60-ზე მეტი ქვეყნის 6 ათასზე მეტი ბიზნესმენი იმყოფებოდა, ფორუმს ჩინეთის, მონღოლეთის, იაპონიის, სამხრეთ კორეის ხელმძღვანელებიც ესტუმრნენ. პოლიტოლოგებმა ფორუმი ხუთი ქვეყნის სამიტად მონათლეს. პრესისთვის ეკონომიკურმა საკითხებმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. ბიზნესმენები გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, დაწვრილებით ტრადიციულად არ საუბრობენ, კომერციულ საიდუმლოებად რჩება. თუმცა, როგორც იუწყებიან, საკმაოდ ბევრი სოლიდური კონტრაქტი გაფორმდა. ფორუმის დასრულების შემდეგ სტუმრები კმაყოფილები იყვნენ.

ფორუმი პოლიტიკურ ჭრილშიც საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. ხუთივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა პირისპირ შეხვედრები გამართეს. აღსანიშნავია, რომ იაპონიისა და ჩინეთის პირველ პირებს ერთმანეთთან პირისპირ 7 წელი არ უსაუბრიათ. ვლადივისტოკში კი სინძო აბე და სინ ძინ პინი ერთმანეთს დიდხანს ესაუბრნენ.

სამხრეთ კორეის დელეგაციას წლეულს პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობდა. მან პრეზიდენტის ჩაუსვლელობის გამო ბოდიში მოიხადა. პრეზიდენტის მოუცლელობის მიზეზი გასაგებია — უახლოეს მომავალში, შემოდგომაზე, ჩრდილოეთ კორეის ლიდერთან აქვს დაგეგმილი შეხვედრა და ორივე კორეაში დიდი სამზადისია. სამხრეთელმა პრემიერმა ფორუმზე თავის სიტყვაში ერთობ საინტერესო ფრაზა თქვა: „...ვლადივოსტოკში ახლა თვითმფრინავით ჩამოვედი თ. მოხარული ვიქნები და ვისურვებდი, გაისად რომ მატარებლით ჩამოვიდე“. აღსანიშნავია, რომ მატარებლით სამხრეთიდან ვერსად წავლენ, თუ ჩრილოეთ კორეის ტერიტორია არ გაიარეს. გამყოფ ზონაში სარკინიგზო ხაზი აყრილია. სავარაუდოდ, პრემიერმა დიპლომატიურად მიანიშნა, რომ გაყოფილი კორეის გაერთიანებას თუ არა, დაახლოებას ახლო მომავალში უნდა ველოდოთ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამის სასტიკი წინააღმდეგია აშშ-ის ადმინისტრაცია.

სენსაციად იქცა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის და იაპონიის პრემიერ-მინისტრის სინძო აბეს საჯარო დიალოგი. იაპონელმა სტუმარმა აღნიშნა, რომ პუტინს უკვე 22-ედ ხვდება და ისურვა ურთიერთობის კიდევ უფრო გაუმჯობესება და სადავო საკითხების მოგვარება. რუსეთის პრეზიდენტმა იქვე შესთავაზა, გააფორმონ სამშვიდობო ხელშეკრულება. „...ახლავე თუ არა, წლის ბოლომდე მოვაწეროთ ხელი სამშვიდობო აქტს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე და შემდეგ დავიწყოთ სადავო საკითხების მოგვარებაზე მუშაობა. ჩინეთთანაც გვქონდა უთანხმოება სხვადასხვა საკითხებში, მაგრამ შევძელით მოგვარება“, — უთხრა სტუმარს. აბეს არაფერი უპასუხია. თუმ, ცა მათი საუბარი კულუარებშიც გაგრძელდა. მართალია, იაპონელ პოლიტიკოსთა ნაწილი წინააღმდეგია, უპირობიოდ გაფორმდეს სამშვიდობო ხელშეკრულება, მაგრამ მომავლის განჭვრეტა ძნელია.

ჩინეთისა და რუსეთის მჭიდრო ურთიერთობა არახალია. ფორუმზე მათი მეგობრობა კიდევ ერთხელ დადასტურდა. ოფიციალური შეხვედრების შემდეგ ვლადიმირ პუტინმა და სინ ძინ პინმა ქალაქში გაისეირნეს. ერთ-ერთ კაფეში სტუმარ-მასპინძელმა „ბლინები“ თავად მოამზადეს, ხიზილალასთან ერთად მიირთვეს და არაყიც დააყოლეს. სწორედ რუსეთ-ჩინეთის დაახლოება აღიზიანებს აშშ-ის ადმინისტრაციასაც. ამიტომაც, ფორუმი ჯერ დასრულებული არ იყო, ამერიკულმა მხარემ ჩინეთს კიდევ უფრო გაუმკაცრა სანქციები. აშშ-ის პრესის ინფორმაციით, ამ კვირაში რუსეთის მიმართაც გაამკაცრებენ სანქციებს.

ვლადივოსტოკის ფორუმის პარალელურად, რუსეთში მიმდინარეობდა სამხედრო სწავლება „აღმოსავლეთი-2018“, სადაც რუს სამხედროებთან ერთად ჩინელი და მონღოლი სამხედროები მონაწილეობდნენ. მსგავსი მასშტაბის მანევრები 1981 წლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აღარ ჩატარებულა. დასავლური პრესის შეფასებით, რუსეთმა ძალის დემონსტრირება მოახდინა და, ფაქტობრივად, ამერიკული მხარე გააფრთხილაო. წვრთნები პუტინმაც მოინახულა და კმაყოფილი დარჩა. რას მოუტანს მსოფლიოს ორი დიდი ქვეყნის „კუნთების თამაში“ ძნელი სათქმელია.

ევროკავშირის ქვეყნებს შორის განხეთქილება უკვე აშკარა ხდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ევროპარლამენტმა ჰოლანდიელი დეპუტატის წინადედებით მიიღო დეკლარაცია — ხმის უფლება შეუჩერდეს უნგრეთს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ევროკავშირის წევრ ქვეყანას ევროპარლამენტში ხმის უფლებას ართმევენ. თუმცა გამორიცხული არ არის, სხვა „ურჩმა“ ქვეყნებმაც გაიზიარონ უნგრელების ბედი, განსაკუთრებით მათ, ვინც ეწინააღმდეგება მიგრანტების მიღებას. მიგრანტების მიერ ევროპის ქვეყნებში ამდენი დანაშაულის შემდეგ უნდა ვიფიქროთ, რომ მელას მართლაც უყვარს თავისი მახრჩობელა.

გია ზურდული
551 71 27 07

რადგან ხიფოსხლეზ სიკვდილი ასე ნავარდობს

ეფემია ცაგარელი

მე მოვკვდები, ოდესმე, აუცილებლად მოვკვდები, იქნებ – ხვალ, იქნებ – 50 წლის შემდეგ – ვინ იცის.

მაგრამ, ზუსტად ვიცი, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი გამიხსენებს, მხოლოდ რამდენიმე ათეულ ადამიანს ეტკინება დიდხანს და გულწრფელად, მხოლოდ რამდენიმე ათეულ ადამიანს ჩამოუგორდება ღაწვზე თბილი და ჩუმი ცრემლი...

იმიტომ, რომ სიკვდილი გაიეფდა...

არა, პოსტს ბევრი დაწერს, ვინმე ჩემს ფეისბუქგვერდზეც დამიწერს აცრემლებულ სმაილებს და ტკბილ სიტყვებს – მოდაშია ახლა ინტერნეტით მოსამძიმრება – მაგრამ, რა წამსაც თვალს მოაშორებს ჩემს ფოტოს და გვერდით გაიხედავს – სხვა უბედურებას დაინახავს და გადავავიწყდები.

წინა კვირაში 4 დაკრძალვა იყო, ჩემს მეგობარს მამა გარდაეცვალა, თანამშრომელს – დედა, ნაცნობს – 9 წლის ქალიშვილი, ძველ მეზობელს და დაეღუპა.

ერთზე ვიწყებ ფიქრს და მეორე მახსენდება, მერე მესამე, მერე მეოთხე. მერე მექანიკურად, გაუთვიცნობიერებლად, ვიწყებ არჩევას – რომელი უფრო მეტკინა – როცა ვხვდები, რას ვაკეთებ, მრცხვენია, მაგრამ არ მაქვს სხვა გზა – ვერ ვგლოვობ ოთხივეს ერთნაირად და ერთად.

სიკვდილი გაიეფდა.

დრო უნდა სიკვდილს, გლოვას დრო უნდა – რომ არ მიეჩვიო, ყოველდღიური რუტინა რომ არ გახდეს.

გარდა ამ ოთხისა, მთელი კვირა ხან ვინ წერდა ფეისბუქზე ახლობლის გარდაცვალების პოსტს და ხან ვინ.

ერთმა დღეს დაწერა: დედა მომიკლა ღამით ოთხმა კაცმა, შემოცვივდნენ, მომიკლეს და გამოწვევა მიღებულიაო.

ვერ ვხვდები, ანუ, ეს ახლა წავა და იმათ დედებს დახოცავს?

რა ეფეისბუქება – დედის ცხედარი არ გაციებია ცხვირწინ, მოკლული დედის ცხედარი.

დედის სიკვდილი როგორ შეიძლება იყოს გამოწვევა?

მაგრამ, რუტინა გახდა სიკვდილი, გაიაფდა სიკვდილი.

რუტინა გახდა ცრემლიანი სმაილები, დამამშვიდებელი ტექსტები, მისამძიმრება გახდა რუტინა.

ადრეც იხოცებოდნენო – გვეუბნებიან. წამოდით, გავიდეთ სასაფლაოებზე – მკვდრებს ვეღარ ვატევთ, ხალხნო, ბოლო ათწლეულში დასაფლავებულ მკვდრებს. სად ვიხოცებოდით ამდენნი, როდის ვიხოცებოდით ამდენნი.

- ახლა მეტი ინფორმაციაა და ვიგებთ, თორემ, ვიხოცებოდითო – მითხრეს.

9 აპრილს დახოცილ ადამიანებზე ათჯერ მეტი გარდაიცვალა ბოლო თვეში მხოლოდ ნარკოტიკით და წარბი არ შეგვტოკებია. თითი კი – თითი შეგვიტოკდა კლავიატურაზე – წარბი არა.

მე ის კი არ მადარდებს, რომ ოდესმე, როცა მოვკვდები და აუცილებლად მოვკვდები, ვინ გამოკერებია ცას – ათეულ ადამიანზე მეტს არ ჩამოცვივდება თბილი, ჩუმი და გულწრფელი ცრემლი – მე ჩემი ცრემლი მადარდებს – სად წავიდა ჩემი ცრემლი, რატომ არ ჩამომდის ყველა გარდაცვლილისთვის, როგორ და როდის ამომიშრა ცრემლი, როდის გახდა რუტინა სიკვდილი.

მაგრამ, ჩვენ ბევრნი ვწყდებით, ყოველდღიურად ვწყდებით. ვწყდებით, იმიტომ, რომ არ ვთხოვთ ექიმებს ყველა გარდაცვლილი პაციენტის გამო ახსნა-განმარტებას, არ ვთხოვთ მთავრობას, დაგვიცვას ნარკოტიკისგან, დაბინძურებული ქალაქისგან, არ ვთხოვთ სკოლებს, დაიცვან ჩვენი შვილები, აარიდონ ცივ იარაღს და ძალადობას.

ჩვენ ყოველდღიურად ვწყდებით, ზოგი უჭმელობით, ზოგი ჭამით – უმეტესად, ნაგავს ვჭამთ, საწამლავს ვჭამთ უმეტესად, იმიტომ, რომ საწამლავი უფრო იაფი ღირს, ბევრად იაფი ღირს და ვერ ვწვდებით ჯანსაღ საკვებს, თორემ, განა გემოვნება არა გვაქვს ან არ ვიცით, რა მივირთვათ და როდის.

და რაც მეტნი ვწყდებით, მით მეტად სწრაფად დაგვყავს მანქანა და მით მეტნი ვემსხვერპლებით ავარიას, რაც მეტნი ვწყდებით, მით ნაკლებად ვდარდობთ სხვების სიკვდილზე – იმიტომ, რომ რუტინა გახდა სიკვდილი, გაიაფდა სიკვდილი.

რაც მეტნი ვწყდებით, მით მეტს ვკლავთ, სინდისის გარეშე ვკლავთ, ჩვენ ხომ ერთი დღით ვცხოვრობთ უკვე, რატომ უნდა დავინდოთ. რაც მეტად ვწყდებით, მით მეტად გვიმუშავდება სისხლზე და ძალადობაზე იმუნიტეტი...

რაც მეტად ვწყდებით, მით მეტ ღამეს ვათევთ, მით მეტ შხამს ვსვამთ და ვჭამთ, მით მეტად ვჩქარობთ წინ სიარულს და ამ სირბილში, ამ უძილობაში – მთავარი გვავიწყდება, უკან გვრჩება მთავარი.

რაც მეტნი ვწყდებით, მით მეტ კვანტს ვუდებთ ერთმანეთს, მით მეტად ვიბოღმებით, მით მეტად გვძულს, მით მეტად ვცდილობთ განდიდებას და სულ ერთი ხდება, როგორი გზით ვიშოვნით ფულს, რადგან, ხომ მაინც მოვკვდებით, ხომ მაინც აღარავის ვემახსოვრებით – მეორე დღესვე მოკვდება სხვა და დაგვივიწყებენ – ამიტომ, ერთი დღით ვცხოვრობთ, მხოლოდ დღეს და აქ ვცხოვრობთ.

რაც მეტნი ვწყდებით, მით უფრო აღარ ვუფრთხილდებით სიცოცხლეს, მით უფრო ნაკლებად ვიცავთ სიცოცხლეს, მით უფრო ნაკლებად გვიყვარს სიცოცხლე.

ასეა, რაც ნაკლებ ცრემლს დავღვრი – მით მეტად გამიჭირდება ბედნიერებით ტკბობა, რაც ნაკლებს ვიგლოვებ, მით მეტად გამიჭირდება სიყვარული, რაც ნაკლები მეწყინება – მით ნაკლები გამიხარდება.

ემოციებს გვიკლავს სიკვდილის გაიაფება და იმიტომ – რა არის ადამიანი ემოციისა და გულის გარეშე? – რობოტი სოფია?

ასე თუ გაგრძელდება, მალე ყველანი რობოტი სოფიები ვიქნებით, იმ განსხვავებით, რომ რობოტი სოფია არ დაბერდება და მოკვდება, ჩვენ კი, სიკვდილს ვინღა ჩივის, ნეტავი დავბერდებოდეთ, სიბერეს მივატანდეთ, ნეტავი.

ჩვენს გადაჯიშებას საუკუნეები ცდილობდნენ, საუკუნეები შეალიეს ჩვენს გატეხვას, საუკუნეები დასჭირდა ჩვენში ქართველის მოკვლას.

ქართველში ქართველის მოკვლა სიკვდილს შესძლებია მარტო, გაიეფებულ, რუტინად ქცეულ სიკვდილს.

რაც მეტად ვწყდებით, მით მეტს და მით უფრო ჯიუტად ვმუშაობთ ლუკმა-პურისთვის, დღეს და ღამეს ვაერთიანებთ. სტომაქს ვივსებთ და ვიძინებთ, ვიძინებთ იმაზე ფიქრის გარეშე, რა გაგვიხარდა და გვეწყინა, იმაზე ფიქრის გარეშე ვიღვიძებთ დილით – რა გვინდა სინამდვილეში, რისი კეთება და როგორ ცხოვრება.

არავინ მოუკვდება რობოტ სოფიას.

იცის მისი დანიშნულება რობოტმა სოფიამ, ყველა კითხვაზე პასუხი აქვს – რა აზრი აქვს მის არსებობას.

ზოგჯერ, მშურს ადამის და ევას, მშურს, რადგან მათ არც ერთ კითხვაზე არ ჰქონდათ პასუხი.

ზოგჯერ, მე ვბრაზდები ადამზე და ევაზე, რადგან მათ ზოგ კითხვაზე არასწორად იპოვნეს პასუხი.

მაგრამ, ეს ყველაფერი მაინც სჯობს, იმას, რაც ჩვენ გვჭირს – უკითხობა გვჭირს, კითხვა არ გვაქვს, არ გვინდა კითხვის დასმა – პასუხის შიშით.

ასე ხდება, როცა სიკვდილი გახდება რუტინა, როცა სიკვდილი გაიეფდება, ასე ეკარგება მაშინ სიცოცხლეს ფასი, ასე ეკარგება ადამიანობას ფასი.

როცა ერთი დინოზავრი მოკლა სიცივემ, ცა და მიწა რომ ჩამოენგრიათ დინოზავრებს, ერთად რომ დამდგარიყვნენ – ერთმანეთს რომ გადაჯაჭვოდნენ, ერთმანეთი რომ გაეთბოთ – შეიძლება გადარჩენილიყვნენ, არ გადაშენებულიყვნენ... ან დახოცილიყვნენ, მაგრამ, ისე რომ მათ სიკვდილს აზრი ჰქონოდა, ისე, რომ მთელ მსოფლიოს ენახა ერთი ადგილისკენ მიმავალი მათი ნაფეხური, ისე, რომ კოსმოსიდან გამოჩენილი მათი ერთად და ერთმანეთზე შეზრდილი ძვლები.

რა დაგვრჩენია სამალავებში, არაფერია სანახავი ქვიშაში, რა აზრი აქვს არსებობას, თუ ვერ უნდა ვიცხოვროთ – ნუ გავხდით რუტინად სიკვდილს.

ყველა სიცოცხლისთვის ერთად დავდგეთ, ყველა სიცოცხლისთვის ერთად ვიბრძოლოთ, ყველა სიკვდილს ერთად დავუპირისპირდეთ და ერთად ვიგლოვოთ – ცხოვრება ვცადოთ, გადაჯიშების, გადაშენების, რობოტად ქცევის გარეშე.

თუ არაფერი გამოგვივა, დედამიწას სამუდამოდ დარჩება ერთმანეთისკენ მიმავალი ჩვენი ნაკვალევი.

თუ არაფერი გამოგვივა, დაე, კოსმოსმა დაინახოს ჩვენი ერთად და ერთმანეთზე გადაზრდილი ძვლები...

და ერთმანეთზე გადაზრდილი ძვლები...

... ზოგჯერ, მე ვბრაზობ ადამზე და ევაზე, რადგან მათ ზოგ კითხვაზე არასწორად იპოვნეს პასუხი.

555 46 08 04

ჩვენი უმთავრესი ჩვევა უნდა გახდეს იყო ის, ვინც ხარ

ჯო დისპენზა თანამედროვეობის უდიდესი მეცნიერია. ბიოქიმიკოსი, ნეიროფიზიოლოგი, ნეიროფსიქოლოგი, სამი შვილის მამა და ურთიერთობებში ძალიან უშუალო ადამიანი. ლექციებს კითხულობს იუმორით და ნეოროფიზიოლოგიაზე საუბრობს ძალიან მარტივ და გასაგებ ენაზე. მეცნიერეთაგან, ერთ-ერთი ენთუზიასტია ვინც დაინტერესებულ ადამიანებს თავის 20-წლიან მეცნიერულ გამოცდილებას აცნობს.

დოქტორ ჯო დისპენზამ ტრაგიკული შემთხვევის გამო. ნეიროფიზიოლოგიის და ტვინის შესაძლებლობების გამოკვლევები დაიწყო, დისპენზას ავტოკატასტროფის შემდეგ შესთავაზეს დაზიანებული ხერხემლის მალების იმპლანტებით ჩანაცვლება, რომელიც მიიყვანდა გამუდმებულ ტკივილამდე. ექიმები თვლიდნენ, რომ მხოლოდ ასე თუ შეძლებდა ფეხზე წამოდგომას და გავლას. მაგრამ დისპენზამ გადაწყვიტა აზრების დახმარებით აღედგინა ჯანმრთელობა. ცხრა თვიანი თერაპიის შედეგად, მან შეეძლო სიარული. სწორედ, ამან უბიძგა გამოეკვლია გონების შესაძლებლობები. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე, იმ ადამიანების გაცნობა და მათთან ურთიერთობა გახდა, ვინც გაიარეს სპონტანური რემისია. ექიმების დასკვნით, მათ ჰქონდათ უმძიმესი დიაგნოზი და მოხდა ამ დაავადებებისგან „სპონტანური“ და დაუჯერებელი გამოჯამრთელება, ტრადიციული მედიცინის ჩარევის გარეშე.



თავის წიგნში **ჯო დისპენეზა** სვამს ლოგიკურ კითხვას, თუ ჩვენ, აზრებით ხშირად გამოვიწვევთ ორგანიზმში ნეგატიურ შეგრძნებებს, საბოლოო ჯამში იქცევა თუ არა ის, ნორმად? ადამიანში გონებრივი შესაძლებლობების გამოსავლენად, დისპენზამ, ჩაატარა შემდეგი ექსპერიმენტი, ადამიანები რაოდენობა დაყო ორ ჯგუფად. ადამიანები პირველი ჯგუფიდან, დაევალათ ზამბარიან ღილაკზე, ერთი და იგივე თითის დაჭერა. მეორე ჯგუფს, მხოლოდ და მხოლოდ, დაევალა გონებაში წარმოედგინათ, რომ ერთი და იგივე თითს აჭერდნენ ღილაკს. შედეგად, პირველ ჯგუფში მონაწილეთა თითზე, კუნთი გამაგრდა ოცდაათი პროცენტით, მეორე ოცდაორი პროცენტით. ფიზიკურ მაჩვენებლებზე ასეთი გავლენა, ნეირონული ქსელის მუშაობის შედეგს წარმოადგენს. ამიტომ დისპენზამ დაასკვნა, რომ ტვინისთვის არანაირი განსხვავება არ არსებობს მატერიალურ და წარმოასხით სიტუაციებს შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ მოვახდენთ ნეგატიურ აზრებზე კონცენტრაციას, ჩვენი გონება აღიქვამს მას როგორ რეალურს და იწყება შესაბამისი ცვლილებები ორგანიზმში. მაგალითად ავადმყოფობა, შიში, აგრესია...ჯო დისპენზას, კიდევ ერთი გამოკვლევა ეხება — ემოციებს. ემოციური ქცევა აყალიბებს მყარ ნეირონულ ქსელს ანუ მიდრეკილებას, ამა თუ იმ ფორმაზე ემოციურ რეაგირებას. თავის მხრივ, ამას გაჰყავს ადამიანი განმეორებად შეცდომებზე. იმის გამო, რომ ადამიანი ვერ აცნობიერებს მათი წარმოქმნის მიზეზს, ებმება, ერთსა და იგივე ხაფანგში! მიზეზი კი მარტივია — თითოეული ემოცია “შეიგრძნობა” სხეულში გარკვეული ქიმიური ნივთიერებების ნაკრების გადასროლის შედეგად და ორგანიზმი, ასე ვთქვათ, “დამოკიდებული” ხდება ამ ქიმიური შენაერთზე. მისგან განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება “დამოკიდებულების“ გააზრება — როგორც ფიზიკური დამოკიდებულების. მთავარია, მხოლოდ გააზრებული მიდგომა. ის აქტიურად იყენებს კვანტური ფიზიკის უკანასნელ მიღწევებს და საუბრობს იმ მოახლოებულ დროზე, როდესაც ადამიანებისთვის არ არის საკმარისი უბრალოდ, რაღაცის გაგება, არამედ მოვიდა დრო, თითოეული გახდეს მზად, მიღებული ინფორმაცია ცოდნა გამოიყენოს და დანერგოს პრაქტიკაში.“რა საჭიროა ელოდო განსაკუთრებულ მომენტს ან თუნდაც, ახალი წლის დადგომას, რომ კორდინალურად უკეთესობისკენ შეცვალო ცხოვრება და აზრები? უბრალოდ დაიწყეთ ამის კეთება პირდაპირ ახლავე, შეწყვიტეთ ყოველდღიური ნეგატიურიმომენტების შეგროვება, განთავისფლდით მათგან. მაგალითად, დილით უთხარით თავს, “დღეს ვიცხოვრებ ისე, რომ არავის განვიკითხავ” “მე დღეს არაფერზე არ ვიწუწუნებ “, “მე დღეს, არ ვიქნები გაღიაზიანებული”...დღის მანძილზე გაკეთეთ რაღაცეები სხვანაიარი თანმიმდევრობით, მაგალითად, თუ ჯერ იბანთ და მერე იხეხავთ კბილებს, გააკეთეთ პირიქით ან აიღეთ და აპატიეთ ვიღაცას. უბრალოდ ისე, უმიზეზოდ. დაანგრიეთ ჩვეული კონსტრუქცია!!! თქვენ იგრძნობთ თავს უჩვეულოდ და ეს ახალი შეგრძნებები ნამდვილად მოგეწონებათ. არაფერს ვამბობ, ორგანიზმში და ცნობიერში წარმოაქმნილ გლობალურ პროცესებზე და ცვლილებებზე! დაიწყეთ, მიეჩვიეთ საკუთარ თავზე ფიქრს და გამართეთ დიალოგი საკუთარ თავთან როგორც, საუკეთესო მეგობართან. აზროვნების შეცვლა მიგიყვანთ, ფიზიკურ სხეულში ღრმა ცვლიებებთან. დაფიქრდით, გვერდიდან შეხედეთ საკუთარ თავს და უპასუხეთ კითხვებს:“ვინ ვარ? რატომ ვარ ცუდად?რატომ ვცხოვრობ ისე, როგორც არ მინდა ვიცხოვრო?რა უნდა შევცვალო საკუთარ თავში?რა არის ის, რაც ხელს მიშლის?რისგან მინდა განთავისუფლება?” და ასე შემდეგ. თუ კი კითხვებზე მძაფრად რეაგირებთ, გაჩერდით და მიიღეთ გადაწყვეტილება: ახლებურად შეხედოთ ან არ გააკეთო რაღაცა ძველებურად! ეს იმას ნიშნავს, რომ გადიხართ “გაცნობიერების” პროცესს. ეს შინაგანი ევოლუციაა. ამ დროს ახორციელებთ ნახტომს. შესაბამისად, იწყება ეს ახალი ემოციები, თავის მხრიდან გამოიწვევენ ახალ აზრებს და ასე განავითარებთ თვითპატივისცემას, საკუთარ ძალებში რწმენას და ასე შემდეგ სწორედ, ამ სახით არის შესაძლებელი პიროვნების და შესაბამისად ცხოვრების სრულყოფა. დეპრესია — დამოკიდებულების მკაფიო მაგალითია. ნებისმიერი დამოკიდებულების მდგომარეობა ლაპარაკობს ბიოქიმიურ დისბალანსზე ორგანიზმში, ასევე მუშაობის პროცესის, „ცნობიერი-სხეული“ კავშირის დისბალანსზე. ადამიანების ყველაზე დიდი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი მათში არსებული ემოციების და ქცევის ასოცირება გაიგივებას ახდენენ საკუთარ პიროვნებასთან. ჩვენ ზუსტად ასე ვლაპარაკობთ:“მე ვარ ნერვიული”,” მე ვარ უნებისყოფო”,“მე ვარ ცუდად, ავად”,“მე უბედური ვარ” და ასე შემდეგ თქვენ თვლით, რომ თუ გარკვეულ ემოციებთან მოახდენთ იდენფიცირდებას, უკეთესად წარმოაჩენთ თქვენს პერსონას. ამიტომ ქვეცნობიერეად გამუდმებით ცდილობთ გაიმეოროთ რეაგირების ძველი სქემა ან მდგომარეობა (მაგალითად, ფიზიკური ტკივილი ან დეპრესია), თითქოს ყოველ ჯერზე ამტკიცებთ, რომ თქვენ ხართ ასეთი. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ძალიან იტანჯებით! ეს დიდი შეცდომაა! ნებისმიერი არასასურველი მდგომარეობა, ემოცია თუ კი იქნება თქვენი ნება შესაძლებელია მოიცილოთ, რადგან თითოეული ადამიანის შესაძლებლოებები შემოსაზღვრულია მხოლოდ მისი ფანტაზიის უნარით და როდესაც გადაწყვიტავთ ცხოვრების შეცვლას, მკაფიოდ წარმოიდგინეთ რაც გინდათ, მაგრამ გონებაში არ გაწეროთ როგორ მიაღწევთ ამას ანუ ნუ გექნებათ “მკაცრად გაწერილი გეგმა”, შესაძლებლობების საუკეთეო “არჩევანი”, სრულებით შესაძლებელია აღმოჩნდეს მოულოდნელი. საკმარისია შინაგანად მოდუნდეთ და შეეცადო გულით გაიხაროთ იმ ამბით, რომელიც ჯერ არ მომხდარა, მაგრამ აუცილებლად მოხდება. იცით რატომ? რადგან კვანტურ რეალობაში ეს უკვე მოხდა, ისე როგორც წარმოიდგინეთ, მკაფიოდ და თან, ამ დროს, მთელი გულით გაიხარეთ. სწორედ, კვანტურ დონეზე იწყებს მოვლენები მატერიალური რეალობად ჩასახვას. მოდით, დაიწყეთ მოქმედებები და შექმენით სასურველი „იქ“. თქვენ მხოლოდ იმის გჯერათ მხოლოდ ის გახარებთ რისი შეხებაც და დანახვა შეუძლიათ, რაც უკვე რეალიზებულია. თქვენ არ იცით, როგორ ხდება რეალობის შექმნა, როგორ საჭიროებს ის თქვენს თავში რწმენას, თუმცა, ამ დროს, ვერც კი ხვდებით, ყოველდღიურად როგორ ხართ მომავლის შენებით დაკავებული, მხოლოდ ძირითადად ნეგატიურად. ამის დასადასტურებლად, საკმარისია გაიხსენოთ, რამდენად ხშირად ამართლებს თქვენი მოლოდინები, ცუდზე? ეს ცუდი მოვლენა, ფორმირებულია თქვენს მიერ და უკონტროლოდ...მხოლოდ მაშინ, როდესაც არჩევანს გააკეთებთ აზრების და ემოციების კონტროლზე, დაიწყება საოცრებები თქვენს ცხოვრებაში. როდესაც ვიღაცა იცინის და გეუბნებათ, „რაღაც ძალიან კარგი მოხდება“ თქვენ კი ეკითხებით:”საიდან იცი?” ის კი მშვიდად პასუხობს:“უბრალოდ ვიცი...”ეს მკაფიო მაგალითია, მოვლენის რეალიზაციის კონტროლის... დარწმუნებული ვარ, რომ ყველას ერთხელ მაინც განუცდია, ეს განსაკუთრებული მდგომარეობა.”აი, ასეთ რთულ საკითხებზე, ასე მარტივად საუბრობს უამრავი მისი მიმდევარისთვის პატივსაცემი ჯო დისპენზა. ყველას გირჩევთ ამ ავტორის გაცნობას. “ჩვენი უმთავრესი ჩვევა უნდა გახდეს, იყო ის ვინც ხარ” და კიდევ დისპენზა გვირჩევს, არსოდეს არ შეწყვიტოთ სწავლა. ყველაზე კარგად ინფორმაციას ისრუტავთ როდესაც ხართ გაკვირვებული. შეეცადეთ, ყოველ დღე გაიგოთ რაღაც ახალი, ეს — განავითარებს და გაავარჯიშებს თქვენს ტვინს. ამ დროს, ქმნით ახალ ნეირონულ კავშირებს, რომელიც თავის მხრივ შეცვლის და განავითარებს აზროვნების უნარს. ყველაფერი ეს კი დაგეხმარებათ, საკუთარი ბედნიერების და სრულფასოვანი რეალობის მოდელირებაში.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ნოდარ ჯალაღონიას ხსოვნას

წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელიც სრულიად საქართველოს, თითოეული ქართველის ჭეშმარიტი ჭირისუფალი იყო.

ნოდარ ჯალაღონიამ მთელი სიცოცხლე სამშობლოს ერთგულებასა და უსაზღვრო სიყვარულში განვლო. თავდაუზოგავად იბრძოდა ქართველი ხალხისა და მის მიერვე არჩეული კანონიერი პრეზიდენტის, ბატონი ზვიად გამსახურდიას გზისა და იდეების ცხოვრებაში გატარებისათვის!...

ნოდარ ჯალაღონია დაკლდა არა მხოლოდ მის ოჯახსა და მეგობრებს, არამედ მთელ ქვეყანას.

დადგომოდეს ნათელი მის სულს ცათა სასუფეველში!

მის მიერ განვლილი გზა და ცხოვრების წესი სამაგალითო იქნება მომავალი თაობებისთვის!

კიდევ ერთხელ გულით ვუსამძიმრებთ ბატონ ნოდარ ჯალაღონიას ოჯახს, მის ერთგულ თაანამეცხედრესა და თანამოაზრეს, ქალბატონ მანანას, ქართულ საზოგადოებასა და სრულიად საქართველოს.

საზღვარგარეთ დროებით ემიგრაციაში მცხოვრებ ქართველთა სახელით:

ირაკლი იბერი, გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური, ნანა ტატიაშვილი, მარიამ ხუბულავა, მერი ხორბალაძე, მართა სავანელი, ლევან ზაალიშვილი, დავით ჯანდიერი, ლაშა გამსახურდია, ზაზა ჟორდანია, ნიკა გერგედავა, ნაილი ხომერიკი, ლელა ჭინჭარაული, სალომე მწითური, სანდრო მარიამიძე, ლექსო ყამარაული.

ჩვენს სამძიმარს უერთდებიან საქართველოში მცხოვრები ქალბატონები ეროვნული მოძრაობიდან:

ეთერ მგალობლიშვილი, დიანა მენაბდე, ციალა თოლორდავა.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი ქართველი პოეტის

ნოდარ ჯალაღონიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს
დაკრძალვა 20 სექტემბერს, ხუთშაბათს. თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვ, 19-ე კორპუსი.

წამალი „სალხინო“ ქართული ფლორის საოცრება

პრეპარატს ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

კომპლექსური თერაპიის დროს გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

ტელ: 577 49-94-84

ტაქსი გამოძახებით

0322 300 308; 0322 450 450; 558 300 088

დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური, კომფორტული მომსახურება 24 სააათის განმავლობაში

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

- რამდენია პატიმრობის მაქსიმალური ვადა განაჩენის გამოტანამდე?

- სრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში - 9 თვე, არასრულწლოვანი ბარლდებულის შემთხვევაში კი - 6 თვე.

* * *

- ჩემმა შვილმა ოჯახური უთანხმოების ნიადაგზე დაჭრა სიმამრი. სასამართლო- ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ იგი დანაშაულის ჩადენის დროს იყო შეურაცხადი. რა მოხდება შემდეგში?

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით შეწყვეტს მის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 221 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განჩინებით გადაწყვიტოს ამ პირისთვის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების საკითხი. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით.

ამავე მუხლის მე-2 [1] ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე განჩინებით განსაზღვრავს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ვადას. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს. ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და ბრალდებულის საკუთარი თავისთვის ან/და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარის ან/და ძალადობის შემცველი ქცევის რისკის ხარისხი, რომელთა შეფასებაც მოცემულია ბრალდებულის შერაცხადობის თაობაზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში. ამასთანავე, განჩინებაში მიეთითება, რომ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა შეიძლება შეწყდეს დადგენილ ვადაზე ადრე, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 221 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრისთანავე, თუ მათი აღმოფხვრა დადასტურდება იმავე კანონით დადგენილი წესით.

* * *

- არ მყავს ქმარ-შვილი. ჩემი ქონება ანდერძით მსურს დავუტოვო ჩემს ერთ-ერთ ძმისშვილს. ხომ არ შეექმნება პრობლემა მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან?

- თუ თქვენ ანდერძით დაუტოვებთ თქვენს ქონებას ერთ-ერთ ძმისშვილს, მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან არ შეექმნება პრობლემა, რადგან ძმისშვილები არიან მე-2 რიგის მემკვიდრეები და ისინი სავალდებულო წილის უფლებით ვერაფერს მოითხოვენ. სავალდებულო წილის უფლების მოთხოვნით სარგებლობენ მხოლოდ 1-ლი რიგის მემკვიდრეები.

* * *

- ჩემი შვილის მიმართ სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი. შეუძლია თუ არა მას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება?

რა თქმა უნდა, თქვენს შვილს შეუძლია მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამართალმწამოებელთა მხრიდან უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური/ იგულისხმება ხარჯები, მათ შორის, ადვოკატის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები, გზის ხარჯები, პატიმრის შენახვის ხარჯები და ა. შ. დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტებით/, ფიზიკური/ იგულისხმება ჯანმრთელობის შერყევასთან დაკავშირებული ხარჯები, დადასტურებული შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტებით და სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნით/ და მორალური ზიანის ანაზღაურება.

* * *

- რა არის ამნისტია და რა შეიძლება განხორციელდეს ამნისტიის აქტით? ასევე, მაინტერესებს შეწყალების საკითხი.

- თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77–78 მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგოდგენთ სრულად:

მუხლი 77. ამნისტია

1. ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

2. ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის- სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

3. სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

მუხლი 78. შეწყალება

1. შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ.

2. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

3. სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

არჩილ ხომასურიძე:

ყველა სამედიცინო სიახლე, რომლითაც შესაძლებელია უშვილობის მკურნალობა, საქართველოში ჩვენ დავნერგეთ!

ვაგრძელებთ ინტერვიუების ციკლს „წარმატებული ქართველი ექიმები“.

გვესაუბრება იოსებ ჟორდანიას სახელობის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი არჩილ ხომასურიძე

— ბატონო არჩილ, მოდით, ზოგადად, შეაფასეთ ქართული სამედიცინო სფერო. რა მდგომარეობაა დღეს ქართულ მედიცინაში?

— მწარედ მეღიმება და უნდა გითხრათ, ძალიან მძიმე ვითარებაა. მაგალითად, როცა თვითონ მე მჭირდება მკურნალობა, ვფიქრობ, ვის მივმართო. მაშინ, როცა, თუ არ ვცდები, 46 000 სერთიფიცირებული ექიმია საქართველოში. ამას ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი აქვს, თუმცა ძირითადი მაინც განათლების დაბალი დონეა.

პირადად მე გახლავართ მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში და თვითკრიტიკულიც ვარ, როცა მედიკოსების განათლებაზე ვლაპარაკობ.

მთელი ცხოვრება მივუძღვენი რეპროდუქტოლიოგიას, რომელიც მე დავაარსე საქართველოში, ანუ უშვილობის მკურნალობას, ქალთა კონტრაცეპციას, სქესობრივ მოშლილობებს, იმპოტენციას, კლიმაქსს და ა. შ.

ამ დაავადებების მკურნალობა დაიწყო და წარმატებით გრძელდება ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული ინსტიტუტია.

ბოლო 30 წლის განმავლობაში რა ნოვაციაც არის დანერგილი რეპროდუქტოლოგიასა და მეანობა-გინეკლოლგიაში, აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ჩვენს დაწესებულებაში არის განხორციელებული.

კერძოდ, ლაპარასკოპიური ოპერაციები პირადად ჩემი ინიციატივით, ბატონმა ედუარდ ვეინბერგმა დანერგა ჩვენს ინსტიტუტში. ეს მოხდა 1986 წელს. პირველი ენდოსკოპიური ოპერაცია ჟორდანიას ინსტიტუტში გაკეთდა.

ბრწყინვალე ქირურგი გახლდათ აწ გარდაცვლილი ედუარდ ვეინბერგი. ღვთით ბოძებული ნიჭი ჰქონდა.

ჩვენმა ინსტიტუტმა დანერგა კონტრაცეპცია, ინვიტრო განაყოფიერება. ჩვენთან დაინერგა ანდროლოგიაც.

— მაგრამ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი დღეს თითქოს უკანა პლანზე აღმოჩნდა.

— თქვენ შეიძლება იცით, მაგრამ საზოგადოებამაც უნდა იცოდეს, რომ ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლები პირდაპირ გამოგვყარეს ჩვენი ისტორიული შენობიდან და ამან გარკვეულწილად, უარყოფითი გავლენა იქონია მის საქმიანობაზე.

როგორც ჩემს ყურს მოსწვდა, თავის დროზე, ამ შენობით და თვითონ რეპროდუქტოლოგიით სანდრა რულოვსი იყო დაინტერესებული. ის სწავლობდა კიდევაც რეპროდუქტოლოგიას, მაგრამ მერე თავი დაანება. ეტყობა, მიხვდა, ასე ადვილი არ არის ამ დარგის შესწავლა.

იმ ხანებში, როცა კახა ბენდუქიძე ყველაფერს ყიდდა „სინდისის“ გარდა, ჩვენს შენობასაც დაადგეს თვალი. შემოგვთავაზეს, თვითონ გვეყიდა ეს შენობა, მაგრამ ვერ შევძელი იმდენი თანხის მოძიება, რასაც გვთხოვდნენ და მაშინ უკვე როგორც ჩანს, ამ „ბრძოლაში“ აქტიურად ჩაერთო კეზერაშვილ-ადეიშვილ-მერაბიშვილი. ვინ გაიმარჯვა, არ ვიცი, მაგრამ, ფაქტია, რომ ჩვენ გამოგვაგდეს იქიდან.

— რამდენს გიფასებდნენ შენობას?

— 300 დოლარი ერთი კვადრატული მეტრი. ამდენი ფული საიდან უნდა მეშოვნა? და ამ დროს გამოჩნდნენ ე.წ. ინვესტორები, რომლებიც გვპირდებოდნენ — მედიცინას ხელს არ ვახლებთ, თქვენ იმუშავეთ, ჩვენ ჩვენს საქმეს გავაკეთებთო. როგორც კი ხელი მოვაწერე შეთანხმებას, დაიწყეს ჩვენი შევიწროება და



იძულებული გავხდით, წამოვსულიყავით იქიდან.

ჩემი ცხოვრება შევწირე ამ ინსტიტუტის წარმატებულ ფუნქციონირებას და რეპროდუქტოლოგიის დაარსებას, აბორტების სრული ლიკვიდაცია მოვახდინეთ, ინვიტრო განაყოფიერებით დღემდე თითქმის 8000 ბავშვია დაბადებული. საზოგადოება იცის ვის მიერ გაკეთდა ეს, მაგრამ არჩილ ხომასურიძის პერიოდში დაიშალა ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი. როგორ მებრძოლა „ავტორიტეტებთან“?!

მოკლედ, ბევრი ვიფიქრეთ და დაშლილ-დაფანტული ჟორდანიას ინსტიტუტისგან ისევ შევქმენით გუნდი, რომელიც დღეს კვლავ წარმატებულად საქმიანობს.

მუშაობა დავიწყეთ 2012 წელს. შეიქმნა ჟორდანიას ინსტიტუტის ალტერნატივა.

— ძველი შენობა კოსტავას ქუჩაზე შეფუთულია. არავინ იცის, რის აშენებას აპირებენ იქ.

— ის ისტორიული შენობა შეფუთული კი არა, შიგნიდან მთლიანად დანგრეულია. დარჩენილია მხოლოდ გარე ფასადი. ის 1000-წლოვანი ნაძვი, ინსტიტუტის ეზოში რომ იდგა, მოჭრეს. გააოხრეს იქაურობა.

— აქ, ამ ახალ კლინიკაში, დღეს ყველა გინეკოლოგიურ დაავადებას მკურნალობთ?

— რა თქმა უნდა. ჩვენთან ყველაფერი იგივეა, რაც იყო თავიდანვე ჟორდანიას ინსტიტუტში.

იკითხავთ, რა ხდება ახალი?!

ახალი თითქმის ყოველ დღე ხდება. ჩვენ ვაკეთებთ ინვიტრო განაყოფიერებებს და დღეში რომ თუნდაც ასეთი გზით ერთი ბავშვი დაიბადება, არ არის ახალი ამბავი?

მაგალითად, მამაკაცების საიმედოდ შემიძლია გითხრათ, რომ თუ დაახლოებით, 30 წლის წინათ, მამაკაცი უნაყოფოდ ითვლებოდა იმ შემთხვევაში, თუკი მისი სპერმატოზოიდების რაოდენობა სპერმაში 80 მლნ-ზე ნაკლები იყო, ახლა თუ თუნდაც ერთი სპერმატოზოიდი, ისიც ცუდად მოძრავი თუ არსებობს მამაკაცის ორგანიზმში, ისიც შეგვიძლია „გავაცოცხლოთ“ და ხელოვნური განაყოფიერება განვახორციელოთ.

ქალთა რეპროდუქტოლოგიაში უფრო რთული ვითარებაა, მსოფლიოში ქალების 40% ინვიტრო განაყოფიერებას საჭიროებს.

საქართველოში უშვილობის მკურნალობა მაღალ დონეზეა და მიმაჩნია, რომ იოსებ ჟორდანიას სურვილი ამ მხრივ, ჩვენ შევასრულეთ და ყველა სამედიცინო სიახლე, რომლითაც შესაძლებელია უშვილობის მკურნალობა, საქართველოში დავნერგეთ.

ამ კუთხით კარგად მოღვაწეობენ ჩემი ყოფილი მოწაფეები, შეიძლება ითქვას, მსოფლიო დონის ქართველი სპეციალისტები: გია ცაგარეიშვილი, ლია ჭყონია და სხვები.

ასე რომ, ტრადიცია გრძელდება და ჟორდანიას ინსტიტუტი კვლავ ხალხის სამსახურშია.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983